სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 18 აგვისტო 1999 №156 (929) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ჯაჭვური რეაქცია

„დინამოს“ მწვრთნელად დანიშნული ოთარ კორღალიძის ადგილი „თბილისში“ მისმა თანაშემწემ, ნესტორ მუმლაძემ დაიკავა

6 ბექემ, შენი ცოლი...

რას ნიშნავს V?

7 გადადებული სიკვდილი

В УПРАВЛЕНИИ ФУТБОЛА СПОРТКОМИТЕТА СССР

«ПАХТАКОР» НЕ ОСТАНЕТСЯ БЕЗ ПОМОЩИ

1979 წლის 11 აგვისტოს ტაშკენტის „პახტაკორი“ ავიაკატასტროფაში დაიღუპა, ამის შესახებ კი მხოლოდ 18-ში გამოაცხადეს

8 სპორტის სასახლეში ხაზიც მრუდეა

დანიასთან მატჩის წინ ქართული ხელბურთი პრობლემების კედელთან დგას

რუსთავულმა ფულმა ძველი გზით იარა

ძველი გენერალური მდივანი ახალ ფედერაციას დაეხმარა

პირველი ტურის „გორდა“ — „ტორპედოს“ შეხვედრას ჩაშლა ემუქრებოდა, რუსთაველებს კი — ჩემპიონატიდან მოკვეთა. მართლაც რომ ღმერთმა დაიფარა მასპინძლები სირცხვილისგან. იყო მიზეზები, რამაც რუსთაველები სირცხვილს, ჩემპიონატი კი დანაკარგს აარიდა. ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

13 აგვისტო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომისშემდგომი პრესკონფერენცია. სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია: „ქართულ ფეხბურთში გამეფებული კრიზისიდან გამოსავლად ეროვნული პირველობის აღორძინება მიმაჩნია... მიღებულ რეგლამენტს პატივი უნდა ვცეთ და მკაცრად დავიცვათ... გუნდი, რომელიც დღევანდელი დღის ჩათვლით (13 აგვისტო — პ.კ.) საწევრო თანხას არ შემოიტანს, ჩემპიონატიდან მოიკვეთება“. ისევ სხდომისშემდგომი პრესკონფერენციიდან. გია ფირცხალავა — საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი: „ჩემპიონატში მონაწილე თექვსმეტი გუნდიდან საწევრო თანხა — 10 000 ლარი და 200 000 ლარის საგარანტიო წერილი მხოლოდ „გორდას“ არ წარმოუდგენია, რუსთაველებს დღის ბოლომდე დაველოდებით“. და იქვე სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია: „თუ საჭირო გახდა, „გორდას“ წარმომადგენლებს ღამის თორმეტ საათამდე მოვუცდი“.

13 აგვისტოს პრესკონფერენციიდან რამდენიმე საათის შემდეგ, გვიან ღამით, ვალერი ჩოლარიამ „სარბიელს“ განუცხადა, რომ რუსთაველებს 10 000 ლარის გადახდის ბოლო ვადა 16 აგვისტოს („ტორპედოსთან“ მატჩის დღე) დღის 12 საათამდე მისცეს. ორშაბათს კი ფეხბურთის ფედერაციაში მისულ ჩვენს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ „გორდას“ ფულის გადასახდელად ნახევარი საათი რჩებოდა. ეს 13 საათსა და 30 წუთზე გვითხრეს. ჩვენს მიერ სფფ-ში მოპოვებული ბოლო ინფორმაცია კი ასეთი იყო — „გორდას“ ფული ჯერაც არ შემოუტანია, ფედერაციიდან რუსთავში წარმომადგენელი გავგზავნეთ გუნდის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად, თუ მატჩამდე ერთი საათით ადრე (შეხვედრა 18 საათზე იწყებოდა) კლუბის მესვეურები თანხას არ წარმოადგენენ, „გორდა“ ჩემპიონატიდან მოიკვეთებაო“.

რა ხდებოდა ამ დროს რუსთავში? „ფოლადზე“ ნაადრევად მისული გულშემატკივარი ტრიბუნაზე ასვლას არ ჩქარობდა. იყო მობილური ტელეფონების გაუთავებელი წკრიალი და მისვლა-მოსვლა. სფფ-ის წარმომადგენელი ბადრი ქარქაშაძე კატეგორიული გახლდათ — თუ ფული არ იქნება, თამაში არ ჩატარდება.

ფული კი არ იყო...

16 საათი და 50 წუთი. მსაჯთა ოთახში რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი შევიდა. ხმამაღალ საუბარს ბადრი ქარქაშაძის ახსნა-განმარტება მოჰყვა — მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, საწევრო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მატჩს ვერ ჩავატარებთ.

ქალაქის მერი საჩქაროდ გაეცალა სტადიონს.

იხილეთ მეორე გვერდი

ფეხბურთი: თამაში თუ ომის მოდელი?

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

იუგოსლავია — ხორვატია

REUTERS ბელგრადიდან

დავორ შუკერს (მარცხნივ) და ზვონიმირ ბობანს დღეს ყოფილ თანამემამულეთა, იუგოსლავიელთა წინააღმდეგ ბელგრადში მოუწევთ თამაში

ეს მატჩი გაცილებით მეტია, ვიდრე ფეხბურთი — სწორედ ასე ფიქრობს ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი იუგოსლავიასთან დაპირისპირების წინ.

მასპინძელი იუგოსლავიის თავკაცის ვუიადინ ბოშკოვი, მისი ხორვატი კოლეგისგან განსხვავებით, ამ თამაშს უფრო სპორტულ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცაღა დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი დღევანდელ ისტორიულ შეხვედრას აუცილებლად მოიგებს.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

რუსთავულმა ფულმა ქველი გზით იარა

დასაწყისი პირველ გვერდზე

17 საათი და 10 წუთი. ფული კვლავაც არ ჩანს, დროდადრო „ტორპედოს“ მწვრთნელი დავით ყიფიანი კითხულობს, ჩატარდება თუ არა თამაში. ზუსტ პასუხს ვერავინ აძლევს. მიუხედავად ამისა, მატჩის დაწყებამდე 45 წუთით ადრე შეხვედრის ოქმში „ტორპედოს“ განაცხადი გაჩნდა (მხოლოდ „ტორპედოსი“).

ხუთი წუთის შემდეგ „გორდას“ პრეზიდენტმა ვალერი ქოქიაშვილმა დამაიმედებელი ინფორმაცია მიიღო — ცოტა ხანში ფულს მოიტანენ — განაცხადა მან.

17 საათი და 25 წუთი. მორიგი ვიზიტი ქალაქის მერიიდან. სამსაჯოში რუსთაველი პარლამენტარები — გია ხევიაშვილი და ლაშა მინდელი შედიან.

— ეს არის ფედერაციის თანადგომა? ეს არის გუნდების დახმარება? — კითხულობს ხევიაშვილი. ბადრი ქარქაშაძე უკვე მერამდენედ იმეორებს, რომ ხელმძღვანელობის ინსტრუქტაჟით მოქმედებს და თავის მოვალეობას ასრულებს.

სამსაჯოდან გამოსულმა ლაშა მინდელმა (სხვათა შორის, იგი აღმასკომის წინა შემადგენლობის წევრი იყო), „სარბიელს“ განუცხადა — „ჩემთვის ცნობილია, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ ისაუბრა ფეხბურთის ფედერაციაში, გარკვეულ წრეებში, რომ ეს თანხა — 10 000 ლარი — „გორდას“ ნაწილ-ნაწილ გადაეხადა. ისიც ვიცი, რომ ამასთან დაკავშირებით ფედერაცია რუსთაველებს დახმარებას და თანადგომას დაგვპირდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამაოდ. დღეს ცაიტნოტში ვართ. ჩვენი ძალისხმევა, მოგვეძებნა ფედერაციის რომელიმე ხელმძღვანელი — ჟორდანია ან ჩოლარია, უშედეგო აღმოჩნდა და დიდი გაჭირვებით შევძელით მთლიანი თანხის გადახდა. ქალაქის ბიუჯეტს ძალიან უჭირს, მაგრამ, როგორც ნახეთ, რუსთავის მერიამ მაინც მოახერხა 10 000 ლარის მოძიება“. აქვე ერთი საგულისხმო დეტალის მოყვანაც დამჭირდება ლაშა მინდელის ნათქვამიდან და შემდეგ მთავარ სათქმელზეც გადავალ — „გორდას“ 200 000 ლარის საგარანტიო წერილი არ წარუდგენია. დღეს ფედერაცია ამას კატეგორიულად არც ითხოვს — განაცხადა მინდელმა.

ასე რომ, მატჩამდე ნახევარი საათით ადრე ბადრი ქარქაშაძის წინ, მაგიდაზე 10 000 ლარი იდო. ფული ხელიდან ხელში გადავიდა. მალე შეხვედრის ოქმს რუსთაველთა განაცხადიც დაემატა და მატჩიც დაიწყო. თითქოს ყველაფერი რიგზეა, „გორდამ“ ფული გადაიხადა, მატჩიც ადრე გამოცხადებულ დროზე დაიწყო და ოქმმა მოგვიანებით სრული სახეც მიიღო. მაგრამ...

ბადრი ქარქაშაძის ფოტო

„გორდა“ — „ტორპედო“ ჩემპიონატის რეგლამენტის დარღვევით მაინც ჩატარდა

არადა, შეხვედრა „გორდასა“ და „ტორპედოს“ შორის არ უნდა ჩატარებულიყო, მასპინძლებს წესით, რიგით და დებულებით 0:3 წაგება უნდა ჩათვლოდათ. ჩემი არგუმენტის გასამყარებლად საქართველოს 1999-2000 წლების XI ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტს მოვიშველიებ, რეგლამენტს, რომლის მკაცრად დაცვას და პატივისცემას ფედერაცია ყოველი ფეხის ნაბიჯზე ითხოვს.

დასაწყისისთვის: პუნქტი მეორე. პარაგრაფი 2.2. ჩემპიონატში მონაწილეობენ არამოყვარული საფეხბურთო კლუბები, რომელთაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, სფფ-ს წევრები არიან და იცავენ ფიფას, უეფას და სფფ-ს გადაწყვეტილებებს, დროულად იხდიან სფფ-ს მიერ დაწესებულ ყველა გადასახადს.

პუნქტი მე-4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები. პარაგრაფი 4.5. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია, შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 18 მოთამაშისა...

თავისთავად წინააღმდეგობაში ვვარდებით. მაშინ, როდესაც გარკვეული არ იყო, გადაიხდიდა თუ არა „გორდა“ ფულს, ოქმის შევსება არ უნდა დაწყებულიყო — პირველი მიზეზი იმისა, რომ მიღებული რეგლამენტი დაირღვა და მატჩი არ უნდა ჩატარებულიყო. იმავე პუნქტის 4.6. პარაგრაფი — *თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.* ესეც მეორე მიზეზი ჩემი არგუმენტის სისწორისა. ორი პარაგრაფით ქვემოთ ჩავინაცვლოთ 4.8. *მატჩის მსაჯები და დელეგატი ვალდებულნი არიან, შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მონაწილის პარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მონაწილის პარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება...* აქ მცირე ახსნა მომიწევს. რუსთაველ მატჩში მონაწილეობდა გიორგი მიშველიძე. ეს ფეხბურთელი დისკვალიფიცირებული გახლდათ და „გორდას“ ამისთვის 100 ლარი უნდა გადაეხადა. რუსთაველებს ეს თანხა არ ჰქონდათ გადახდილი და არც გადაუხდიათ. მიშველიძემ „ვალად“ ითამაშა. მომდევნო პარაგრაფი 4.9. — *I ლიგაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს 4 სათამაშო ბურთი.* რუსთაველთა წარდგენილი ბურთები უვარგისი იყო. შეხვედრა სტუმრების მიერ ჩამოტანილი „უმბროს“ ბურთებით ჩატარდა.

დროა, ყოველივე 4.18. პარაგრაფით შევაჯეროთ — *კლუბებმა სფფ-ში უნდა ჩარიცხონ* (ჩარიცხონ! — პ.კ.) *საწევრო შესატანი: I ლიგის გუნდებმა — 10 000 ლარი, ხოლო რეგიონული ლიგის გუნდებმა — 5 000 ლარი. სფფ-ს მიმართ ყველა სახის გადასახადი (დავალიანება) დაფარული უნდა იყოს გუნდების განაცხადების წარმოდგენამდე...* ჩნდება ერთი კითხვაც, რატომ გამოარჩია თექვსმეტეულიდან ფედერაციამ მხოლოდ „გორდა“ და რატომ „არ ითხოვს დღეს კატეგორიულად“ (ლაშა მინდელის კომენტარიდან) 200 000 ლარის საგარანტიო წერილს.

ერთი სიტყვით, ფედერაციამ არ დაიცვა ულტიმატუმი. ბუნებრივია, მიღებული რეგლამენტი დაირღვა. ისე, დებულება-რეგლამენტებში ქექვა ვერაფერი სიამოვნებაა (ამაში მკითხველიც დარწმუნდებოდა), მაგრამ ჩემი არგუმენტის გასაძლიერებლად (ის, რომ „გორდას“ 0:3 უნდა ჩათვლოდა და მიღებული რეგლამენტი დაირღვა), საქართველოს 1999-2000 წლების XI ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტიდან კიდევ ოთხი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საამისოდ ზემოჩამოთვლილიც საკმარისია.

რა ბედი ეწია რუსთავის მერიის მიერ ბოლოწამს გაჩენილ ფულს, რომელიც ფედერაციის მოხელეს იქვე, სამსაჯოში, გადაეცა (და არა ფედერაციის ანგარიშზე ჩაირიცხა)?

მატჩის დასრულების შემდეგ ზემოთ არაერთგზის ნახსენები თანხა ბადრი ქარქაშაძემ ცისფერ საქალალდეში მოათავსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის მანქანით თბილისში წაიღო. თეთრ „მერსედესს“, ბუნებრივია, პატრონი — დავით კვინიკაძე მართავდა.

პაატა კვანტალიანი

ვეტერინარი ყიფიანი



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ყიფიანი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ნევრმა გიორგი ყიფიანმა საბერძნეთში ბურთაობას საქართველოში თამაში არჩია.

იმედისმომცემი ნახევარმცველი ბოლოს საბერძნეთის „არისის“ კუთვნილება იყო. კლუბის ხელმძღვანელებმა თავის მხრივ იქაური მეორე ლიგის „პანეტოლიკოსს“ გაუმართეს ხელი და ჩვენებურიც ნათხოვრობით იქ თამაშობდა.

დამთავრდა საბერძნეთის ჩემპიონატი, გიორგიც თბილისში ჩამოვიდა დასასვენებლად და მოკლე ხანში უკანვე აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ მოულოდნელად გეგმები შეიცვალა.

ყიფიანმა ჯერ დებიუტანტ „თბილისთან“ დაიწყო ვარჯიში და თითქოს გუნდში გაწევრიანებაც გარდუვალი ჩანდა, მაგრამ...

მან „ვიტ ჯორჯიას“ მიაშურა და ვეტერინარებს შესთავაზა სამსახური.

ამიერიდან ყიფიანი სულ ცოტა, ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლომდე ვერსად წავა. 17 აგვისტოდან იგი „ვიტ ჯორჯიას“ სრულუფლებიანი წევრია და ეს ყველაფერი შავით თეთრზეა დამტკიცებულ-დამოწმებული.

ჯერჯერობით ფეხბურთელს მოსწონს გუნდი, თავის მხრივ კლუბიც წლობით ეკიდება ახალწვეულს, მათ შორის ყველა პრობლემა გადაჭრილია.

უცნობია კონტრაქტის პირობები, თუმცა არ გვგონია, იგი მოკლევადიანი იყოს, „ვიტ ჯორჯიას“ ხომ სასურველი ფეხბურთელები საკმაო ხნით ჰყავს დაბევებული.

მამუკა კვანტალიანი

არჩილ არველაძე წაგებით იწყებს

მარცხიანი გამოდგა არჩილ არველაძისა და მისი „ბრედას“ ხელახალი დებიუტი ჰოლანდიის მეორე დივიზიონში. „ნაკ ბრედას“, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა, ყველა ფავორიტად თვლიდა, თუმცა, პროგნოზების საწინააღმდეგოდ, „ზვოლე“ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა.

მასპინძლებმა, რომლებიც შარშან მეორე დივიზიონში მე-5 ადგილს დასჯერდნენ და ცოტა დააკლდათ გადათამაშებაში მოხვედრამდე, თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს ბრედელებს. „ნიუკასლში“ წასული კარელსენ შემცვლელ ვოგოსის უკვე მე-5 წუთზე მოუხდა საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა. სტიგის დარტყმულმა მიზანს მიაღწია — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ ძირითადად არველაძისა და საიმონსის აქტიური თამაშის შედეგად „ბრედამ“ თამაში გაათანაბრა და 30-ე წუთზე ვან შტაინის პასით ბროერსმა ანგარიში გაქვითა — 1:1.

„ბრედამ“ მაინც ვერ მოახერხა შესვენებაზე ამ ანგარიშით წასვლა. ზვოლელი ვან სტიგის მონდომებით როელოფსენმა 43-ე წუთზე მეორედ დალაშქრა ვოგოსის კარი — 2:1.

შესვენების შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. 65-ე წუთზე საიმონსმა ანგარიში გაქვითა, თუმცა ორიოდ წუთში მატჩის საუკეთესო მოთამაშე სტიგმა დერქსენს გაატანინა და „ზვოლე“ ისევ დაწინაურდა — 3:2.

„ბრედას“ ორი წუთი დასჭირდა გასათანაბრებლად. არჩილ არველაძე მშვენივრად გაექცა „ზვოლეს“ დაცვას და საგოლე პასი მიაწოდა შრეიდერს — 3:3!

თუმცა 4 350 ფანი, რომლებმაც იმ დღეს „ზვოლე“ დააფასეს, ადგილობრივმა კლუბმა გულდაწყვეტილი არ დატოვა. მატჩის დასასრულამდე სამი წუთით ადრე როელოფსენის პასით ტუჰუტერუმ გაახარა ქომაგი — 4:3.

„ბრედამ“ მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ვოგოსი, ვან დე ხიი, ლეიონგი, (ატ მოდიკორო 74), შრეიდერი, ბროერსი, ვერსტიიგი, სტიუარტი, შტაინი, არველაძე, საიმონსი (ჰანსენი 84), გუდელი.

სიმონ მენაბდე

სარბიელელები სამძიმარს
ვუცხადებთ
ნუგზარ ჯუღელს ძმის
ემირ ჯუღელის
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია
თანაუგრძნობს
ნუგზარ ჯუღელს ძმის
ემირ ჯუღელის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ჩემპიონატი

1 ტური

არჩევნების მოლოდინში

ფეხბურთი დაიწყო, მაგრამ რა ფეხბურთი, რას ნახავ უკეთესს. წარმოგიდგენიათ, ამ შეჭირვებულ ყოფაში ბედს არ ვურიგდებით ქართველები და ბურთს ვაგორებთ. მეტი რაღა გინდათ, თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის ორგანიზება განა ხუმრობა საქმეა? აქეთ ფეხბურთელებიო, იქით ბურთები და ბუცებიო. ამასაც აუვიდოდა კაცი, მაგრამ ეს ოხერი საწევრო შესატანი, 10 ათასი ლარი იმთა შუაში რომ გამოკვეხილა, ძნელი გადასახდელია.

— მოიტანე, შე საწყალო, ფული? — ეკითხებოდნენ შეძლებული კლუბის ხელმძღვანელები ხელმოკლე კოლეგებს.

— კი, როგორც იქნა, შევაკოწიწე — ოხვრას სულს ამოყოლებდა ღარიბი.

ფედერაციამ თავისი გაიტანა. საწევრო გადასახადი თექვსმეტივე გუნდისგან აკრიფა. ან სხვა რა გზა იყო, კლუბებს მოკვეთა ემუქრებოდათ. მოკვეთა კიდევ არაფერია, როგორმე მიჩქმალავდნენ, მაგრამ ახლა არჩევნები ახლოვდება და რაღა ქნან პროვინციელმა ხელმძღვანელებმა.

ხალხის მომდურებას ისევ 10 ათასიანი ზარალი სჯობსო, იფიქრეს და ბურთაობაც გაჩაღდა.

თუ გნებავთ, სიცხეს დააბრალეთ, ანაც ერთ ხაზზე მოთამაშე „დინამოს“ დაცვას, ფაქტი ერთია, კარნევალმ ჩემპიონი წააკცია. ბათუმელებს მოგება ერთადერთი გოლის ავტორის კობიძის ტრავმად დაუჯდათ, სხვა მხრივ პირველი სამი ქულა ზეიმით აღნიშნეს.

კარნევალე კი ნადიმობს. პირველი ოფიციალური გამარჯვების სიტკბოს ბოლომდე აჭაშნიკებს. ასეა, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ან რა სჭირთ ბათუმელებს გასასამართლებელი, ამ ბოლო დროს რაღა „დინამოს“ ძლევა და რაღა რომელიმე აუტსაიდერის დამარცხება, ორივე ერთნაირ საქმედ გაუხდათ.

ჩემპიონატის პირველი გოლი ბოლნისში გავიდა. თბილისელმა გივი კვარაცხელიამ 30 მეტრიდან ვოლკოვს ისეთი დაურტყა, მეკარემ თვალიღა გააყოლა. ბოლნისური მატჩი საეთროდ ლამაზი გოლებით და აყალმაყალით გამოირჩა. „სიონს“ გამარჯვება ბოლნისში ნათამაშევმა შალვა ისიანმა გამოჰგლიჯა ხელიდან. კარისკენ ზურგით მდგარმა შემოტრიალებაც მოასწრო და ცაციათი მარჯვენა ცხრიანში გაგზავნა ბურთი. ბათიაშვილი უძლური აღმოჩნდა.

მატჩი დასრულდა და თითქოს ქარიშხალმაც გადაიარა, მაგრამ გასახდელისკენ მიმავალ სფფ-ის დელეგატს ვიღაც უცნობი გამოუხტა და ... გია ძამუკაშვილმა ფედერაციას პატაკი წარუდგინა, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა აღწერილი. მხოლოდ ის ვერ გაურკვევია ვერავის, ფედერაციის წარმომადგენლის შეურაცხმყოფილი ბოლნისელი იყო, თუ თბილისელი. ინციდენტიდან რამდენიმე წამში „დებოშიორი“ გაქრა და მისი მხილველი ბოლნისშიც არავინ მოიძებნა.

ისე, ურიგო თამაში როდი იყო, ოღონდ ფეხბურთელები დაიღალნენ ნაადრევად. ესეც ხომ ქართული ფეხბურთის თვისებაა.

წყალტუბოში „ვიტ ჯორჯიამ“ დაგეგმილი სამი ქულა აიღო. თაკარა სიცხეში გენდებამ ძალიან მოინდომეს, თუმცა ძლიერ მეტოქეს შესუსტებულმა „სამგურალმა“ გოლი ვერ გაუტანა. საგოლე მომენტები იქაც ბლომად ჰქონიათ სტუმარ-მასპინძელს, მაგრამ რად გინდა, ზოგი დარტყმა კარს ასცდა, ზოგჯერაც მეკარემ იყოჩაღაო.

ჩემპიონატის სენსაცია ხობელებმა მოახდინეს. სეხნია ფოთელებს ისე გაუხადეს საქმე, რომ მასპინძლებს მატჩის საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული პრიზები სულაც გადაავიწყეს. იმედია, ის პრიზები პატრონებს მაინც დაურიგდებათ, მაგრამ ამით ფოთელებს ეშველებათ? თუმცა უცნაურიც რა მოხდა, არაფერი. რა ხანია, ფოთელები ჩემპიონატის სადებიუტო მატჩებს აგებენ და მერე პრიზიორებად გვევლინებიან. უარეს შემთხვევაში, მეოთხე საფეხურს არ ჩამოსცილებიან.

ხობელებმა კი სამ წუთში მოუთავეს საქმე გამოცდილ მეტოქეს. შვიდწლიანი განშორების შემდეგ ღირსეული დაბრუნება გამოუვიდათ. ჩემპიონატის ბომბარდირიც ჯერჯერობით ხობელია, ვლადიმერ ჩიტაიამ დუბლი სწორედ იმ სამ წუთში შეასრულა, რომელიც ფოთელებს კარგა ხანი ემახსოვრებათ.

ეროვნულ სტადიონზე გამართული ორივე შეხვედრა ულიმლამო სანახავი გამოდგა. ეროვნულმა ჯეროვნად ვერ შემოაბიჯა „ეროვნულზე“. პირობითმა მასპინძლებმა — „იბერიამ“ და „ლოკომოტივმა“ სტუმრებს ვერაფერი დააკლეს, არადა, თავიდან ორივე იგებდა.

„ლოკომოტივი“, „მერანი“ და „იბერიაც“ ადრინდელის აჩრდილებიღა არიან, ხოლო „არსენალზე“ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, ჯერჯერობით შარშანდელ გუნდს თუ ვერ სჯობს, არც არაფრით ჩამოუვარდება.

სუსტად ითამაშა გორის „დილამ“. ქართლელებმა ახალგაზრდა თსუელები ვერ დაძლიეს. კერკეტი კაკალია ახალი თსუ, გოლი თუ გაიტანა, მერე ძნელად გაუშვებს, თუმცა კვირა გორელთა დღე ნამდვილად არ ყოფილა. „დილას“ გაცილებით მეტი შეუძლია და ალბათ ბევრსაც გაამწარებს.

ბოლოს „გორდა“ — „ტორპედოზეც“ ვთქვათ. მართალია, რუსთაველებმა ფული გადაიხადეს, მაგრამ ვაი ასეთ გადახდას. არაერთ კაცს დააწყდა ნერვები, არაერთიც შეშინდა და შეაშინეს, თუმცა „ფოლადზე“ არსებულ არეულობას ქუთაისელებისთვის ხელი არ შეუშლია, შინ სამი ქულა წაელოთ. ერთიც სათქმელია, თუ რუსთაველებს 10 ათასის შოვნა და ბოლოწამს გადახდაც ძალუძდათ, ესე იგი, ამის გაკეთება გაცილებით ადრეც ყოფილა შესაძლებელი და რატომ იხდიდნენ საქმეს თავში საცემად, გაუგებარია.

ჩემპიონატის პირველი ტური აშკარად სტუმრებისა იყო. მხოლოდ ერთ მატჩში იმარჯვეს მასპინძლებმა. სულ 21 გოლი გავიდა, ესე იგი, საშუალოდ 2,6 მატჩში.

მეთერთმეტე ჩემპიონატის დასაწყისი არ გამოდგა რიგიანი, ასეთები ადრეც გვიხილავს, იქნებ ამიერიდან გამართლდეს იმედები.

მამუკა კვანტალიანი

«ა» ზონა

ბოლნისი
14 აგვისტო
18 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

სიონი 2:2 თბილისი

0:1 კვარაცხელია (10), 1:1 მოსეშვილი (41), 2:1 მ. სამხარაძე (58), 2:2 ისიანი (70)
სიონი: ვოლკოვი, ჯ. გოდერძიშვილი (ლ. გაგუა 46), შაკაიშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი, დათუაძე, ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე (დ. სვანიძე 72), თ. სამხარაძე, დ. გოდერძიშვილი (მ. სამხარაძე 46), მოსეშვილი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; მ. მინდიაშვილი, ტარულაშვილი, დ. ჯაფარიძე
თბილისი: ბათიაშვილი, ქემოკლიძე, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, გ. კვარაცხელია, ლ. ბურდული, ი. შენგელია (ზ. ხიზანიშვილი 55), ვალერი გაგუა (კანდელაკი 78), ლ. მელქაძე (ისიანი 46), გ. მიქაძე
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ნორაკიძე, დ. ტყუბილავა, ებრალიძე
გაფრთხილება: კვარაცხელია (21), ჯ. გოდერძიშვილი (24), შაკაიშვილი (33), ვ. გაგუა (63), ქემოკლიძე (64), გველესიანი (65), ლ. გაგუა (76)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. დოლიძე (თბილისი); კ. თბილელი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

ქუთაისი
14 აგვისტო
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ქორიძე (37)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ჯავახაძე (ზურაბიანი 46), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, ღონლაძე (ზ. ფხაკაძე 46), ზ. ქუთათელაძე, ი. ხაჭაპურიძე (ნებიერიძე 46), ძოძუაშვილი
სათადარიგონი: ბოდოკია; გაბლაია, დ. ჭელიძე, კოხრეიძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ბარქაია, ხართიშვილი, საჯაია, კ. ალადაშვილი, კოტორაშვილი (ზ. გვაზავა 65), ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი (ჯ. მუჯირი 77), ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 68), გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ს. თოდუა, დ. დოლიძე, ა. ბოკერია
გაფრთხილება: ჯავახაძე (40), ვოსკანოვი (40), ქორიძე (73)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ის დელეგატი: რ. ჩილაჩავა

ბათუმი
15 აგვისტო
18 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

ბათუმი 1:0 დინამო

1:0 კობიძე (65)
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (ა. მუჯირი 52), კობიძე (კანტიძე 65), გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტუღუში, გაფელია (რომანაძე 78)
სათადარიგონი: მალაყმაძე; თედორაძე, აფხაზავა, სიხარულიძე
დინამო: დონდუა, მაშიაშვილი (გ. შენგელია 85), გუჩუა, გ. დიდავა, კობიაშვილი, ი. ვაშაკიძე, ვ. გიგიაძე, ალექსიძე, ნიტაიშვილი, აშვეთია (ზირაქიშვილი 60), სიჭინავა
სათადარიგონი: ლომაია; ა. სახვაძე, ს. გიგიაძე, ბ. ჯინჭარაძე
გაფრთხილება: პაპიძე (5), გუჩუა (14), კობიძე (34), არჩვაძე (68)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; ჯ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ნაგაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

თბილისი
16 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

ლოკომოტივი 2:2 არსენალი

1:0 მიქაძე (24), 2:0 რუსია (60), 2:1 გონჩაროვი (69), 2:2 თარგამაძე (81)
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ვ. გველესიანი (დ. ბაქრაძე 68), ჩომახიძე, ბარამიძე (რუსია 59), შავგულიძე (კაციაშვილი 46), გოგიჩაიშვილი, ქებაძე
სათადარიგონი: დოლაბერიძე; ჩაჩუა, კ. მელქაძე
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ვ. ღუდუშაური, მ. მაისურაძე, თარგამაძე (კვირკველია 85), გ. სულაძე (გონჩაროვი 46), ამირიძე, კაკაშვილი (ხოსროშვილი 46), ტარიელაშვილი
სათადარიგონი: კუპატაძე; ვახტანგ გაგუა, რობაქიძე, ირემაშვილი
გაფრთხილება: ჩიხრაძე (68), მიქაძე (85)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

«ბ» ზონა

ფოთი
14 აგვისტო
18 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 300)

კოლხეთი 2:3 ხობი

1:0 ხუჭუა (42), 1:1 ხურცილავა (55), 2:1 ბულუხია (67), 2:2, 2:3 ჩიტაია (88, 90)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე (კეფელაშვილი 58), ტრაპაიძე (ქუთელია 58), მელაძე, ხუჭუა, ბულუხია (კრასოვსკი 85), ღაღანიძე, ინიაშვილი
სათადარიგონი: ჩეშია; ჯღარკავა, ჭოხონელიძე, პაპავა
ხობი: ბაბუაძე, ვ. ალანია, ზ. კვეკვესკირი, გედენიძე, ზურაბ აიანადი, კ. ხურცილავა, ლ. გვაზავა (ვ. ჩიტაია 46), თორია (გოგიტაძე 46), მ. ბუკია (დ. დანელია 74), ქიჩინაძე, ზაზა აიანადი
სათადარიგონი: ნიქაბერიძე; ქაშიბაძე, ჯამბურია, ვართაგავა
გაფრთხილება: ზურაბ აიანადი (33), ჩიტაია (48), ზაზა აიანადი (61)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: მ. იაშვილი

თბილისი
14 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

იბერია 1:1 მერანი

1:0 მეტრეველი (64), 1:1 დვეიძე (75)
იბერია: ვარდანიძე, ბინაძე, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, გ. ნიკოლეიშვილი (რ. ცომაია 66), ფილიპაშვილი (დარსაძე 55), მ. ჯინჭარაძე, ივეჩიანი (ნ. გიორგაძე 72), ზ. მეტრეველი
სათადარიგონი: გ. დოლიძე; ხმალაძე, ადეიშვილი, ოდიკაძე
მერანი: ნაჭყებია, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა (ივანიშვილი 69), ჭინჭარაული (ბაჯელიძე 61), დ. ჯიშკარიანი, თოლორდავა, დვითაშვილი, დვვიძე, როსტიაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; პ. ლურსმანაშვილი
გაფრთხილება: ნიკოლეიშვილი (38), ჯინჭარაძე (52), თოლორდავა (54), გეგეშიძე (80)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

გორი
15 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

დილა 1:1 თსუ

0:1 ადამია (16), 1:1 მარლიშვილი (73პ)
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი (გ. ჩიტაია 64), რ. ხაჭაპურიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი; გაგნიძე, ბ. ჩიტაია (სულთანიშვილი 54), ციცქიშვილი (არუთუნიანი 78), ლომიძე, მარლიშვილი, შატაკიშვილი
სათადარიგონი: მდივანი; კარელიძე, ოლგესაშვილი, დ. მაისურაძე
თსუ: მერლანი, ნინუა, ახალაძე, წუწუნავა, დეკანოსიძე, მ. მესხი (გ. გოცირიძე 33, ბ. ნოზაძე 57), ადამია (გ. გვაზავა 74), თ. ბოკერია, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
სათადარიგონი: გუგუნავა, სვანაძე, ინწკირველი, გიორგი მიქაძე
გაფრთხილება: კვიციანი (31), დეკანოსიძე (44), შატაკიშვილი (49), ხაჭაპურიძე (53), ერაძე (77), ბ. ჩიტაია (45)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

რუსთავი
16 აგვისტო
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

გორდა 0:2 ტორპედო

0:1 გოგიაშვილი (35), 0:2 მეგრელაძე (81)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, თელიაშვილი, ლაბაძე (მ. სახვაძე 46), ა. ბუკია (მიშველიძე 46), კიტეიშვილი (ბაჩილავა 56), კ. ჩიგოშვილი, ლ. ალადაშვილი
სათადარიგო: გონგაძე
ტორპედო: გრ. ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი (ვ. მაისურაძე 83), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე, გოგიაშვილი, იონანიძე (იმედაძე 82), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 89)
სათადარიგონი: სომხიშვილი; თავბერიძე, ამისულაშვილი
გაძევება: მჭედლიძე (65)
მსაჯები: გ. ასკაროლი (ქარელი); ს. კახიანი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

სიმბოლური ნაკრები

	გიორგი ქორიძე (ვიტ ჯორჯია)	ვლადიმერ ჩიტაია (ხობი)	
რატი ალექსიძე (დინამო)	დავით დათუაძე (სიონი)	გიორგი გოგიაშვილი (ტორპედო)	გიორგი სუხიაშვილი (სამგურალი)
დავით ინასარიძე (გორდა)	ვალერი აბრამიძე (თბილისი)	ლევან მიქაძე (ლოკომოტივი)	ბადრი ახვლედიანი (ტორპედო)
	დენიტ დონდუა (დინამო)		

გუნდი: ხობი — მწვრთნელი: ჯანი კარნევალი ბათუმი

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ვიტ ჯორჯია	1	1	0	0	1:0	1	3	0	0	0	0	0:0	0	0	1	1	0	0	1:0	1	3
2 ბათუმი	1	1	0	0	1:0	1	3	1	1	0	0	1:0	1	3	0	0	0	0	0:0	0	0
3 არსენალი	1	0	1	0	2:2	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	2:2	0	1
4 თბილისი	1	0	1	0	2:2	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	2:2	0	1
5 ლოკომოტივი	1	0	1	0	2:2	0	1	1	0	1	0	2:2	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
6 სიონი	1	0	1	0	2:2	0	1	1	0	1	0	2:2	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
7 დინამო	1	0	0	1	0:1	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:1	-1	0
8 სამგურალი	1	0	0	1	0:1	-1	0	1	0	0	1	0:1	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	1	1	0	0	2:0	2	3	0	0	0	0	0:0	0	0	1	1	0	0	2:0	2	3
2 ხობი	1	1	0	0	3:2	1	3	0	0	0	0	0:0	0	0	1	1	0	0	3:2	1	3
3 მერანი	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	1:1	0	1
4 თსუ	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	1:1	0	1
5 იბერია	1	0	1	0	1:1	0	1	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
6 დილა	1	0	1	0	1:1	0	1	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
7 კოლხეთი	1	0	0	1	2:3	-1	0	1	0	0	1	2:3	-1	0	0	0	0	0	0:0	0	0
8 გორდა	1	0	0	1	0:2	-2	0	1	0	0	1	0:2	-2	0	0	0	0	0	0:0	0	0

მე რომ კორღალიძე ვიყო

საერთოდ მივაფურთხებდი ამ უმადურ პროფესიას და სხვა გზას მოვძებნიდი. მაგრამ, ეტყობა, მართლა ძნელია ძველი გზის დაკარგვა, რამდენიმე ათეული წლის ნაოფლარის მიტოვება (დავიწყება). გულიანი კაცებიც ხომ არიან ქვეყანაზე. ალბათ, კორღალიძეც ასეთია.

მე რომ კორღალიძე ვიყო? შუა აგვისტოს ამ დახუთულ დილით თვალს რომ გავახელდი, მაშინვე თავში შემოვიკრავდი ხელს, ზუსტად ისე, ნამთვრალევს იაღლიში რომ მოგივა კაცს და მეორე დღესვე გამწარებული ფიქრობ, როგორ გავასწორო საქმეო. ეს როგორ მომივიდა, ამ ჭირვეული გუნდის მწვრთნელობას როგორ დავთანხმდიო. მაგრამ ეს ოხერი წუთისოფელი ისეთი რამეა, ცდება ხანდახან კაცი. ჯანდაბას, შეცდა და შეცდა, ერთი შეცდომით ქვეყანა არ დაინგრევა.

მაგრამ კორღალიძე რომ ვიყო, ერთი მაგრა დავფიქრდებოდი, ყველაფერს გავიხსენებდი, რა იყო და როგორ იყო. რამდენი მწვრთნელი მოინელა ამ ამბიციურმა გუნდმა, „დინამო“ რომ ჰქვია სახელად და რაც მთავარია, როგორ მოინელა. გაორნების რამდენი და რანაირი მიზეზი არ ჰქონია — ხან სიმკაცრე არ მოსწონდა მწვრთნელის, ხან გუნდის ფავორიტი ჯგუფის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა მისი რომელიმე გადაწყვეტილება, ხანაც გუნდის შემადგენლობა არ მოსდიოდა თვალში ზემოხსენებულ ჯგუფს და ასე შემდეგ. საამისო საბუთს ვინ მოგცემს, მაგრამ ფეხბურთის ქომაგებს ბევრჯერ სმენიათ ძალად წაგებულ მატჩებზე ლაპარაკი და გუნდიდან მოკვეთილი მწვრთნელებიც ახსოვთ, ისეთებიც კი, კიდევ კარგა ხანს რომ არ გვეყოლება საქართველოში.

კორღალიძე რომ ვიყო, აუცილებლად გავიხსენებდი, რომ „დინამოდ“ წოდებული ფეხბურთელთა ეს გუნდი რამდენიმე წლის გამოკლებით არასდროს ყოფილა სპორტსმენთა გუნდი. აი, ამ ვითომ სიტყვების თამაშსა და ვითომ უმნიშვნელო დეტალს დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სპორტსმენობა უწინარეს ყოვლის, გამძლეობა და გამტანობა, გაძლება და თავდადებაა. მხოლოდ ყველაფერ ამის შემდეგ იძენს ფასს ტექნიკაც, ფინტებიც, ძლიერი დარტყმაცა და მინდვრის ხედვაც... აი, ის, მთავარი, რაც „დინამოს“ ადრეც იშვიათად ჰქონდა, ახლა კი... ახლა არც აქვს და ყველაზე ცუდი ის არის, რომ არც უნდა, რომ ჰქონდეს.

გაგიგონიათ, ნორმალური მამაკაცი ვარჯიშსა და შრომას გაურბოდეს? სპორტსმენებს არ ეგულისხმობ, ჩვეულებრივ ადამიანებზე გეუბნებით. შეიძლება, კაცს არ უნდოდეს ძლიერი და გამძლე იყოს? შეიძლება ფეხბურთელი იმაზე წუწუნებდეს, ბევრს მავარჯიშებენო?

ჰოდა, კორღალიძე რომ ვიყო, ჯერ ყველაფერ ამაზე დავფიქრდებოდი, მერე, სულ ცოტა. ორი წლის ხელშეუხებლობის გარანტიას, დიდ ხელფასსა და კიდევ უფრო დიდ უფლებებს მოვითხოვდი, რადგან არც ერთ წარუმატებლობაზე არც იურიდიულად, არც მორალურად არც ერთი ფეხბურთელი არ აგებს პასუხს. ისინი ჩუმად, ყოველგვარი რისკის გარეშე აკეთებენ თავიანთ „საქმეს“. პასუხისმგებელი და ყველაზე დაბალი ღობე კი ყოველთვის მწვრთნელია. უფლებებიც ამიტომ სჭირდება დიდი.

და მაინც. მე რომ კორღალიძე და თან „დინამოს“ მწვრთნელიც ვიყო, ცხადია, ჩემს ამ ბოლო, შესაძლოა, მრუდე ნაბიჯზე ბევრს აღარ ვიფიქრებდი და საქმეს გულიანად მოვკიდებდი ხელს... ერთი მცირე შენიშვნით: ნებისმიერი ფეხბურთელის პირველ დაწუწუნებისთანავე ავიკრავდი გუდანაბადს და მართალია ძალიან ძნელია, მაგრამ მართლა მივაფუთხებდი მწვრთნელის პროფესიას და სხვა გზას დავადგებოდი.

ირაკლი ბერიაშვილი

ბადრი ქუთელაძის ფოტო

კორღალიძეს „დინამოს“ თავკაცობა ნათლულმა ლევან ჟორდანიამაც მიულოცა

ბადრი ქუთელაძის ფოტოები

დავით ჯანელიძე

მურთაზ ხურცილავა

ხურცილავა და ჯანელიძე მორიგდნენ

12 აგვისტოს, უეფას თასის შესარჩევი ეტაპის პირველი შეხვედრის — „ლოკომოტივი“-„ლინფილდის“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე რკინიგზელთა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ ჟურნალისტებს დაუფარავად გვითხრა, გაძევებულ მეკარე დათო ჯანელიძეს სერიოზულად დაველაპარაკები, მისი საქციელი მარტო არასპორტული არ იყო, მან ფაქტობრივად გუნდი დააღალატო.

...და აი, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩის, „ლოკომოტივი“-„არსენალის“ დაწყებამდე ხმა დაირხა, ხურცილავას და ჯანელიძეს ერთმანეთში უსიამოვნო საუბარი ჰქონიათ, საქმე იქამდე მივიდა, მეკარეს გუნდიდანაც უშვებენო. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ჯანელიძე მინდვრიდან უეფას ტურნირზე გააძევეს და ეს ხელს არ უშლიდა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩი ეთამაშა, მაგრამ „არსენალთან“ მის ნაცვლად კარს ახალგაზრდა და საკმაოდ გამოცდილი დავით ასლანაძე იცავდა, ხოლო თუ ლევან დოლაბერიძის გუნდში დაბრუნებასაც გავიხსენებთ...

ჩვენც სიტუაციაში გასარკვევად ვისთვის უნდა მიგვემართა, თუ არა თავად ფეხბურთელისთვის და მწვრთნელისთვის. სანამ ამ ფაქტზე ბატონი მურთაზის კომენტარს მოგახსენებდეთ, დათო ჯანელიძესთან საუბარს შემოგთავაზებთ:

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემსა და მწვრთნელს შორის უსიამოვნება მოხდა. იცით, ალბათ, პრინციპის საკითხია და მწვრთნელი ასეც მოიქცა. თუმცა, მოსალოდნელი იყო, გუნდიდანაც წავსულიყავი. ერთი სიტყვით, სამაგალითოდ უნდა დავსჯილიყავი...

— მერე რა მოხდა?

— სერიოზული საუბარი კი იყო, მაგრამ არ გამწვავებულა. დანაშაული ჩემი გამოუცდელობით არ მომსვლია, უბრალოდ, ალბათ კლუბის ხელმძღვანელებიც დაფიქრდნენ, ასეთებიც ბევრჯერ მომხდარაო და...

— ესე იგი, გაპატიეს და გუნდში დარჩები?

— კი, ასეა.

— ლევან დოლაბერიძის მობრუნების შემდეგ „ლოკომოტივში“ ოთხი მეკარე აღმოჩნდით, კონკურენციის ხომ არ გეშინია?

— ვისაც კონკურენციის შიში აქვს, ვფიქრობ, ის საერთოდ არ უნდა თამაშობდეს ფეხბურთს. ჯანსაღი კონკურენცია მეკარისთვის კარგიცაა. ვთვლი, რომ ამისთვის ყველანაირად მზად ვარ.

— „ლინფილდთან“ გაძევების გამო რამდენი თამაშით მოგცეს დისკვალიფიკაცია?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მსურდა, გამერკვია კიდეც. ისე, მეუბნებიან ორი ან სამი თამაშით მოგიწევს იძულებით დასვენებაო, მეც სხვა რა გზა მაქვს.

„ჯანელიძის საქმესთან“ დაკავშირებით მურთაზ ხურცილავას პასუხი ლაკონური გახლდათ (თუმც ისიც დამატა, აჯობებს, ამის თაობაზე კლუბის ხელმძღვანელობას მიმართოთო):

— რასაკვირველია, ჯანელიძის საქციელი გაუმართლებელია. მას საკმაოდ სერიოზულადაც ველაპარაკე. გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ ალბათ გუნდში დარჩება.

— „ლოკომოტივში“ დოლაბერიძის დაბრუნება რას უნდა მივაწეროთ?

— ჯანელიძის გაძევების შემდეგ ფაქტობრივად გუნდში მხოლოდ მეკარე ასლანაძე დაგვრჩა, ისიც მხარს იტკივებს. გვყავს ახალგაზრდა ივარდავაც, მაგრამ იგი ჯერ გამოუცდელია. ვფიქრობდით, დოლაბერიძე უეფაში უკვე გაგზავნილ განაცხადში შეგვეყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ბელფასტში ასლანაძის და ივარდავას იმედზე ვიქნებით.

ერთი სიტყვით, ასეა, ჯანელიძე გუნდშია, „ლოკომოტივი“ კი საპასუხო მატჩის სამზადისში.

გიორგი ვაშაკიძე

დარასელიამ გოლით დაიწყო

გახოკიძე კი მაკაბის ისტორიაში შეიძლება ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდეს

გოლით დაიწყო გიორგი დარასელიამ ისრაელის ახალი ჩემპიონატი, რომელიც ამ უქმეებზე დაიწყო. ძუკუ ახლა ქვარ სავას „ჰაპოელის“ ღირსებას იცავს, რომელიც თელ ავივის „ჰაპოელისა“ და შარშან გავარდნილი „ცაფრირიმის“ შემდეგ დარასელიას მესამე ებრაული კლუბი გახდა.

პირველ ტურში ქვარ სავა „ბნეი იეჰუდას“ სტუმრად ეთამაშებოდა. დარასელიამ მე-19 წუთზე გახსნა ანგარიში და საბოლოოდ მედიამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელა. შეხვედრა 1:1 დასრულდა.

გოგა გახოკიძის ჰაიფას „მაკაბიმ“ აკაკი დევაძის ყოფილი კლუბი, აშდოდის „ირონი“ გაანადგურა — 4:1. თავი გამოიჩინა „მაკაბის“ მოლდოველმა ლეგიონერმა კლეშჩენკომ. გახოკიძეს არ უთამაშია. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „მაკაბის“ პრეზიდენტმა დაადასტურა, ქართველის ერთწლიანი იჯარა 400 000 დოლარი დაგვიჯდა, ხოლო თუ ერთი წლის შემდეგ პსგ-ს მილიონ დოლარსაც გადავუხდით, გახოკიძე ჩვენი ფეხბურთელი იქნებაო. აღსანიშნავია, რომ 1 400 000 დოლარი „მაკაბის“ აქამდე არც ერთ ფეხბურთელში არ გადაუხდია.

სიმონ მენაგდე

გიორგი დარასელია

დამატებითი განაცხადები

ნაუქმევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ქართულ კლუბებს საჩემპიონატო განაცხადში ფეხბურთელთა დამატებით შეყვანის ნება დართო.

ერთიცაა, იმ გუნდების ფეხბურთელები, რომლებსაც ფარმკლუბიდან შეუძლიათ ახალგაზრდების დამატება შაბათის „სარბიელში“ ვერ მოხვდნენ და აქვე გთავაზობთ.

სამგურალი წყალტუბო

თედო ბოდოკია	14.07.79
დავით ჭელიძე	06.09.72

დილა გორი

რამაზ სოლოლაშვილი	23.07.77

სიონი ბოლნისი

ფრიდონ არჩვაძე	01.12.78
ელგუჯა ჯაფარიძე	24.06.76
ზურაბ ქოიავა	03.09.72
შალვა ჩიმაკაძე	??.??.??

ბათუმი

მირიან მალაყმაძე	31.08.78

თბილისი

თორნიკე აფციაური	29.11.79

იბერია სამტრედია

ზურაბ მეტრეველი	02.06.79
ნოდარ გიორგაძე	05.02.80
ლაშა ხმალაძე	03.04.81
დავით ოდიკაძე	14.04.81
ვლადიმერ ადეიშვილი	27.04.81
რობერტ ცომაია	23.09.79
დავით ხურციძე	29.01.81

ტორპედო ქუთაისი

მიხეილ ბობოხიძე	23.11.81
ჯაბა თავბერიძე	08.08.81
ალექსანდრე ამისულაშვილი	20.02.82
გიორგი სომხიშვილი	27.11.80

ვიტ ჯორჯია თბილისი

გიორგი ყიფიანი	12.08.78

ლოკომოტივი თბილისი

ლევან დოლაბერიძე	10.05.71
დავით ბაქრაძე	06.06.79
ალექსანდრე განევი	19.07.74
ლევან ჩაჩუა	??.??.??

ნესტორ მუმლაძე (მარცხნივ) მაშინ „დინამო 2“-ის აწ კი „თბილისის“ პირველი ლიგაში აღზევების ზეიმობს

მუმლაძე თბილისში

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ორიოდ დღის წინ „დინამოს“ მწვრთნელად დანიშნულ ოთარ კორღალიძეს თბილისის მეორე გუნდ „თბილისის“ მწვრთნელის პოსტზე ადრე მისივე თანაშემწე ნესტორ მუმლაძე შეცვლის.

მართალია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ვისი გუნდიცაა „თბილისი“, მუმლაძესთან არანაირი კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ გუნდს XI ჩემპიონატის პირველ წრეში სწორედ იგი გაწვრთნის, შესაძლოა მერეც ასე გაგრძელდეს.

ქართველების დებიუტი მეორე ბუნდესლიგაში არ შედგა

კახა კაჭარავა

არ შედგა რეზო ალველაძისა და კახა კაჭარავას დებიუტი მეორე ბუნდესლიგაში, რომელიც კვირას დაიწყო.

უფროსი ალველაძის „ობერჰაუზენი“ პირველ ტურში რეზოს ყოფილ კლუბს, „კიოლნს“ სტუმრობდა. „ობერჰაუზენის“ თავკაცს, ალექსანდრე რისტიჩს ქართველი არ უთამაშებია. „კიოლნმა“ კი სპრაინგერის გოლით მოიგო.

კახი კაჭარავას „ვალდჰოფმა“ კი, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში წლეულს აღზევდა, სტუმრად 25000 მაყურებლის თვალწინ „ნიუნბერგთან“ წააგო. ცუფალ შრედერმა, ფაინბიერმა და კოხმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

კაჭარავას არ უთამაშია, ქართველის გადაბირებას რეგიონალლიგის დრეზდენის „დინამო“ ცდილობს.

სიმონ მენაგდე

იედანში მიდის ქარავანი...

სილაგაძეს და კომპანიას ძოძუაშვილი ელის

ლატვიიდან საუდის არაბეთში, აზიის ერთ-ერთ ტიტულიან კლუბ „ალ იტიჰადში“ მწვრთნელად წასულ რევაზ ძოძუაშვილს სულ ძალე შეიძლება სხვა ჩვენებურებიც გაჰყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ეს თავად „მიხიჩას“ სურვილი ყოფილა.

ცნობილია ამბავია, როცა მწვრთნელი ახალ გუნდში იწყებს მუშაობას, „თავისი ფეხბურთელებიც“ მიჰყავს. თუნდაც სახელგანთქმული მარჩელო ლიპი ავიღოთ, რომელმაც „იუვენტუსიდან“ მილანის „ინტერში“ წაიყვანა მოთამაშეები. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ძოძუაშვილმა საუდეთში ლატვიაში მობურთავე ჩვენებურნი იახლოს.

ამ ბალტიისპირულ ქვეყანაში მოთამაშე ქართველთაგან ყველაზე რეალური ეროვნული ნაკრების მცველ ლევან სილაგაძის წასვლაა. ბუნებრივია, დავინტერესდით, მართლა აპირებს სილაგაძე „ალ იტიჰადში“ გადასვლას თუ- გუშინ მას რიგაში დავუკავშირდით.

— ჩემს საუდეთში წასვლაზე მათლაც არის საუბარი. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. თავად ჩემზეც ბევრია დამოკიდებული. მინდა კი წასვლა? ერთს აუცილებლად გეტყვით, „სკონტროში“ ნაღდად აღარ დავრჩები. უკვე მომბეზრდა. ამდენი წელია, აქ ვთამაშობ და კლასი ვერ ავიმაღლე, მინდა, სხვაგანაც მოვსინჯო ძალები და თუ სხვა რეალური ვარიანტი არ გამოჩნდა, ალბათ წავალ.

— თავად ძოძუაშვილი არ შეგხმიანებია?

— როგორ არა, ყოველდღე მირეკავს, წამოდიო. თუ წავედი, ალბათ, მაინც ერთი წლით.

— გავიგეთ, ბატონი რეზო ლატვიაში დარჩენილ ქართველებს ყველას უპირებს წაყვანასო...

— ზოგი მართლა მიჰყავს, დანარჩენებსაც, ალბათ, მერე წაიყვანს. ერთი სიტყვით, ძალიან უნდა, იქ ვყავდეთ.

— შენი აზრით, მაინც რა გუნდია „ალ იტიჰადი“?

— რამდენადაც ვიცი, აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია. ქვეყნის ჩემპიონატის უპირობო ლიდერები არიან და ახლა, თუ არ ვცდები, რომელიღაც იაპონიის გუნდს ეთამაშებიან. გამარჯვებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

— დანარჩენი ჩვენებურები როგორ არიან?

— ყველანი კარგად და ჯანზე ვართ, ლატვიაში ახლა გახურებული სეზონია და ჩვენც სხვა რა გზა გვაქვს, ფორმაში ვართ.

გიორგი ვაშაძიძე

იბერია: პლუსი და მინუსი

ახალ ჩემპიონატში რა, თითქმის არაფერი. პირველი ტური მორჩა, მაგრამ... სამტრედიის „იბერიამ“ განაცხადში შეყვანილი ერთი ფეხბურთელი უკვე მოისაკლისა — მცველი გივი ჯანელიძე. იგი, როგორც იცით, ადრე წყალტუბოს „სამგურალში“ თამაშობდა, „იბერიას“ კი ამ თვენახევრის წინ მიაკითხა. სამტრედიელთა თავკაცმა სოსო ფრუიძემ გამოცდილი მცველი უმალ მიიღო გუნდში.

ჯანელიძეც ამ ხნის მანძილზე ახალ გუნდთან ვარჯიშობდა. როგორც ვთქვით, კლუბის ხელმძღვანელობამ იგი განაცხადშიც შეიყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელი „იბერიას“ ბოლომდე ვერ შეეგუა და გუშინ გუნდიდან გათავისუფლება ითხოვა. ამბობენ, იგი თავის ძველ გუნდს, „სამგურალს“ დაუბრუნდებაო. ეს რაც შეეხება წამსვლელს.

ახლა მომსვლელზეც, თუმც მისი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. გუშინ დიდი ჯიხაიშის ბაზაზე გუნდთან ერთად „ტორპედოს“ მიერ ტრანსფერზე დაყენებულმა კონსტანტინე მეტრეველმაც ივარჯიშა. რა თქმა უნდა, „იბერია“ მისი მყიდველი არაა, მისი ნათხოვრობის სურვილი კი აქვთ.

თუ ეს საკითხი გადაწყდა და მეტრეველიც „იბერიას“ დარჩა, მაშინ სამტრედიელთა თავდასხმის ხაზში ორი მეტრეველი იქნება. ალბათ იცით, კოტეს ძმა, ზურაბი, გუნდში ახლახან ჩაირიცხა და პირველივე ტურში, „მერანს“ გოლიც გაუტანა.

იუზა ძაციტაძე
ქუთაისიდან

ნინიადისი იწყებს და იგებს

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲜᲘᲜᲘᲐᲓᲘᲡᲘ

ᲒᲐᲓᲐᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ 3:2 ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ

1:0 ნინიადისი (21), 1:1 მარკესი (48), 1:2 როხასი (50), 2:2 მავროგენიდისი (60), 3:2 გეორგატოსი (70)

საბერძნეთი: ელეფტეროპულოსი (მიხოპულოსი 66), მავროგენიდისი, კონსტანდინიდისი (დერმიცაკისი 71), დაბიზასი (კაცაპისი 64), უზუნიდისი (პაპადიმიტრიუ 64), პურსუნიდისი (კუცისი 75), ზაგორაკისი, ფრუსოსი (ანტცასი 64), კიპარისისი, ნინიადისი, გეორგატოსი

მექსიკა: კორონა, მოლინა (კასტრო 46), ლოპესი, გალინდო, მარტინესი, ხაიმე (ლოსანო 46), კინტერო, მარიო პერესი (მარკესი 46), ვალეხო (ლუის პერესი 20), როხასი (აგუაირ 84), ფაბიან პერესი (სსპინოსა 64)

სანტიში ჩატარებული ამ ამხანაგური შეხვედრის მიმართ ქართველი გულშემატკივრის დამოკიდებულება, წესით ძალიან თავისებური უნდა იყოს. თავიდან, ალბათ, ინტერესი სძლევს: როგორ ითამაშა ევრო 2000-ის მეორე შესარჩევ ჯგუფში ჩვენი ნაკრების მეტოქემ? მერე ენთუზიაზმი ქრება, რადგან ჯერ ერთი საქართველოს ნაკრებს ბერძენთა ეროვნულ გუნდთან უკვე ორივე შეხვედრა მომთავრებული აქვს და მეორე — თან უფრო მთავარი — ჰოლანდიასა და ბელგიაში მოხვედრის თეორიული შანსიღა გვრჩება, ანუ შანსი აღარაფრისა გვაქვს და, შესაბამისად, როგორ თამაშობს საბერძნეთი, ჩვენი აქტიური ინტერესის საგანს აღარ წარმოადგენს.

ქართული ბუნებიდან გამომდინარე, ალბათ, არსებობს კიდევ ერთი მომენტი, რომლის გამოც შეიძლება საბერძნეთ-მექსიკის შეხვედრას ყურადღება მივაქციოთ. მხედველობაში გვყავს ჩვენი საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ანდრეას ნინიადისი, რომელსაც, ნებით თუ უნებლიედ, ქართველი გულშემატკივარი ქომაგობს.

ამიტომაც ნინიადისით დავიწყოთ, მით უფრო, რომ თავად ანდრეასმა დაიწყო ხუთგოლიან შეხვედრაში ბურთის მეტოქის კარში შეგდება.

21-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც დიმიტრის მავროგენიდისმა ნინიადისს პასი მიაწოდა, თბილისელყოფილმა კი ანგარიში გახსნა. ოქმიდან ჩანს, რომ შეხვედრის პირველ ნახევარში გოლი აღარ გასულა. აღსანიშნავია, რომ ტაიმის ანგარიში სრულიად ასახავს ამ 45 წუთში ძალთა თანაფარდობას.

მეორე ნახევარი ოკეანისგაღმელთა უპირატესობით დაიწყო: მექსიკელებმა რაფაელ მარკესის დარტყმის შედეგად აღადგინეს წონასწორობა, ხოლო კიდევ ორ წუთში ოსკარ როხასის მეცადინეობით დაწინაურდნენ კიდეც.

და მაინც, მასპინძლებმა დამარცხება არ იკადრეს. ჯერ იყო და მავროგენიდისმა გაქვითა ანგარიში, მერე კი მილანის „ინტერში“ ახლახან გადასულმა გრიგორიოს გეორგატოსმა გამარჯვების წერტილი დაუსვა შეხვედრას.

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲠᲩᲔᲜᲗᲝ

EURO 2000
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲓᲦᲔᲡ ლიუბლიანაში ჩვენი შესარჩევი ჯგუფის ერთი გამოტოვებული მატჩი შედგება. სლოვენიის ნაკრები ალბანელებს უმასპინძლებს.

საამთამაშოდ ასტრიტ ჰაფიზის გუნდი შეთხელებული შემადგენლობით, თანაც მხოლოდ გუშინწინ ლიუბლიანაშივე შეიკრიბა.

ნაკრებს ორი ყვითელი ბარათის გამო დააკლდება თავდამსხმელი ალბან ბუში. სლოვენიელთა წინააღდმეგ ასევე ვერ ითამაშებენ ალთინ ლალა და ერვინ ფაკაი, ორივე ეს ფეხბურთელი გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბებიდან არის.

ალბანეთის ეროვნულ გუნდში ჩვენებური კლუბებიდან მხოლოდ სამი მოთამაშეა, დანარჩენები სულ ლეგიონერები არიან. თვითმფრინავშიც, რომელიც ტირანას აეროპორტიდან გუშინწინ ნასადილევს აფრინდა, ახალგაზრდული ნაკრების წევრები, ფედერაციის წარმომადგენლები, ასტრიტ ჰაფიზი თანაშემწეებითურთ და სწორედ ის სამი ფეხბურთელი — იუპი, პინარი და ლიცი ისხდნენ, ეროვნული გუნდის დანარჩენი წევრები მათ სლოვენიაში უნდა შეერთებოდნენ.

ასტრიტ ჰაფიზიმ კი ამ მატჩისთვის 18 ფეხბურთელი გამოიძახა.

სტრაკოშა ბეჩაი; ჯუმბა, ვატა, შულკუ, ჰაჯი, კოლა; ბელაი, რაკლი, პინარი, დურო, ჰალილი, ბოგდანი, მურატი; ტარე, იუპი, მუკა, ლიცი.

მწვრთნელმა გუნდში დააბრუნა ფრანგული პსჟ-ის ნახევარმცველი მურატი, რომელიც ადრე, საკმაოდ ახალგაზრდა, გერმანიაშიც ჰყავდა პსჟ-ს განათხოვრებული.

რაც შეეხება თავად ასტრიტ ჰაფიზის, როგორც ადრე გაუწყეთ, სლოვენიელებთან ტირანაში წაგებული მატჩის შემდეგ იგი თანამდებობის დატოვებას აპირებდა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელთა თხოვნამ გაჭრა და ჰაფიზიც გუნდში დარჩა.

ალბანეთში პოლიტიკური ვითარების ნელ-ნელა სტაბილიზაციამ კი, მგონი, ფეხბურთელებზეც იმოქმედა. ვისაც კი გავესაუბრე ტელეფონით, პირველ ყოვლისა ყველა იმას ამბობდა, რომ გვეღირსა, ქვეყანა შედარებით დაგვიწყნარდა და ჩვენც მაქსიმალურად ვეცდებით, ლიუბლიანაში ვაჟკაცურად ვითამაშოთ. სლოვენიელებს არ შევარჩენთ ტირანაში დამარცხებასო.

მატჩი ჩვენი და სლოვენიის დროით 8 საათზე დაიწყება.

ᲛᲘᲥᲔᲚᲔ ᲘᲐᲜᲫᲣ
ᲢᲘᲠᲐᲜᲐᲓᲐᲜ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

III ტური. ტეპლიცე — დუკლა 2:0; ბანიკი — სიგმა 2:2; ბოჰემიანსი — დრნოვიცე 3:1; ბუდეიოვიცე — ოპავა 1:0; ბობი — ჟიჟკოვი 4:2; ლიბერეცი — ბლშანი 1:1; სპარტა — იაბლონეცი 3:0; ჰრადეცი — სლავია 0:1

სლავია	3	3	0	0	4:0	9
ბუდეიოვიცე	3	2	1	0	4:1	7
ბობი	3	2	0	1	5:4	6
სპარტა	3	1	2	0	5:2	5
ლიბერეცი	3	1	2	0	5:3	5
ბანიკი	3	1	1	1	8:5	4
ბოჰემიანსი	3	1	1	1	3:2	4
ტეპლიცე	3	1	1	1	4:4	4
დუკლა	3	1	1	1	3:3	4
ბლშანი	3	1	1	1	3:7	4
დრნოვიცე	3	1	0	2	3:5	3
იაბლონეცი	3	1	0	2	3:6	3
ოპავა	3	0	2	1	2:3	2
სიგმა	3	0	2	1	2:3	2
ჟიჟკოვი	3	0	2	1	4:6	2
ჰრადეცი	3	0	0	3	1:5	0

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

მე-4 ტური: ტრენცინი — ჰუმენიე 4:1; რუზომბეროკი — სენეცი 1:0; არტმედია — დუბნიცა 4:1; სპარტაკი — ნიტრა 1:0; სლოვანი — ინტერი 1:1; კოშიცე — დუნაისკა სტრედა2:1; ბანიკი — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 1:3; ჟილინა — ტატრანი 2:0.

სპარტაკი	4	3	1	0	6:1	10
რუზომბეროკი	4	3	1	0	7:2	10
კოშიცე	4	3	0	1	10:4	9
სლოვანი	4	2	2	0	7:3	8
ტრენცინი	4	2	1	1	8:4	7
სენეცი	4	2	1	1	4:3	7
დუკლა	4	2	0	2	7:6	6
ჟილინა	4	2	0	2	4:5	6
ნიტრა	4	2	0	2	3:4	6
ინტერი	4	1	2	1	4:4	5
არტმედია	4	1	1	2	5:5	4
ტატრანი	4	1	1	2	5:8	4
დუბნიცა	4	1	1	2	2:5	4
ბანიკი	4	1	0	3	4:9	3
დუნაისკა	4	0	1	3	2:9	1
ჰუმენიე	4	0	0	4	1:7	0

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

V ტური. ლეგია — ლეხი 1:1; ვიძევი — გურნიკი 1:1; ოდრა — ამიცა 0:2; პლოცკი — ზაგლებე 2:1; რაძიონკოვი — ლკს 1:0; გროცლინი — ვისლა 1:2; პოგონი — რუხი 1:1; სტომილი — პოლონია 0:0

ვისლა	5	5	0	0	14:5	15
რუხი	5	3	2	0	11:4	11
ამიცა	5	3	1	1	9:6	10
სტომილი	5	3	1	1	8:6	10
პოლონია	4	2	2	0	6:1	8
ზაგლებე	5	2	2	1	8:7	8
პოგონი	5	2	2	1	7:7	8
ლეგია	5	1	4	0	7:6	7
პლოცკი	5	2	1	2	6:8	7
გურნიკი	5	1	3	1	12:10	6
ლკს	4	1	1	2	1:3	4
რაძიონკოვი	4	1	0	3	2:5	3
ლეხი	5	0	2	3	4:7	2
ვიძევი	4	0	2	2	6:10	2
ოდრა	5	0	1	4	3:10	1
გროცლინი	5	0	0	5	5:14	0

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

III ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲡᲢᲝᲜ ᲕᲘᲚᲐ 2:2 ᲕᲔᲡᲢ ᲰᲔᲛᲘ

1:0 დაბლინი (5), 1:1 საუთგეიტი (7ს.კ.), 2:1 დაბლინი (52), 2:2 სინკლერი (90)

ასტონ ვილა: ჯეიმსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბოატენგი (ჰენდრი 46), ტეილორი, დაბლინი, თომპსონი (სტოუნი 90), ჯოაკიმი, დილანი, კალდერვუდი

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პირსი, პოტსი, სინკლერი, დი კანიო, ვანჩოპე, ფოე, ფერდინანდი, მონკური (კიტსონი 83), ლამპარდი, მინტო (კელერი 45)

გაფრთხილება: რაიტი, ლამპარდი, პირსი, მონკური

„ვილა პარკზე“ ტრევორ სინკლერმა ბოლოწამს გაათანაბრა ანგარიში, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ასტონ ვილამ“ პრემიერლიგის ცხრილის სათავეში ადგილი დაკარგა. ცხადია, შეიძლებოდა სინკლერს ვერც გაეტანა ეს გოლი, მაგრამ ამ შემთხვევაში ფორტუნამ სამართლიანად განსაჯა — „ვესტ ჰემი“ ბირმინგემიდან ქულის წაღებას ნამდვილად იმსახურებდა.

არადა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დიონ დაბლინის დუბლი, გარეთ საუთგეიტის ავტოგოლის „აქეთ-იქით“ შესრულებული, მასპინძლებს გამარჯვებისთვის ეყოფოდათ. ეს შთაბეჭდილება მას მერე განმტკიცდა, რაც ლი ჰენდრის მოედანზე გამოჩენამ ბირმინგემელებს დამატებითი ენერგია შემატა, მაგრამ სინკლერმა, რომელიც პირველად ნახევრად [illegible] ლებრივად თამაშობდა, [illegible] ,,ასტონ ვილას“ მცველი წაიერი [illegible] ლონდონიდან გაყოლილი გულშემატკივრების გასახარად სამი შესაძლო ქულიდან ერთი მასპინძლებს დაუტოვა, ერთი თავად წამოიღო, ხოლო ერთი ქარს გაატანა.

მანჩესტერი	3	2	1	0	7:1	7
ასტონ ვილა	3	2	1	0	6:2	7
არსენალი	3	2	1	0	4:2	7
ტოტენჰემი	3	2	0	1	6:4	6
მიდლსბრო	3	2	0	1	6:4	6
საუთჰემპტონი	3	2	0	1	5:5	6
ჩელსი	2	1	1	0	6:2	4
ლიდსი	3	1	1	1	3:2	4
ვესტ ჰემი	2	1	1	0	3:2	4
ბრედფორდი	2	1	1	0	2:1	4
უიმბლდონი	3	1	1	1	6:6	4
ლესტერი	3	1	1	1	4:4	4
სანდერლენდი	3	1	1	1	2:4	4
ლივერპული	2	1	0	1	2:2	3
უოტფორდი	3	1	0	2	3:5	3
ქოვენთრი	3	0	1	2	1:3	1
დერბი ქაუნთი	3	0	1	2	2:5	1
ევერტონი	3	0	1	2	3:7	1
შეფილდ უენ.	3	0	1	2	2:7	1
ნიუკასლი	3	0	0	3	3:8	0

REUTERS ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲔᲛᲘᲓᲐᲜ

დიონ დაბლინმა (შუაში) „ვესტ ჰემის“ კარში ორი გოლი გაიტანა

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲓᲜᲔᲜ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრების მწვრთნელმა როჟე ლემერმა გუნდში მცველი ფრედერიკ დეუ მიიწვია. ექსოსერელ ფეხბურთელს ქვეყნის პირველ გუნდში ეროხელ უთამაშია, შარშან მარტში ავსტრიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში. საფრანგეთის ნაკრებს, რომელიც დღეს ბელგასტში ჩრდილოეთ ირლანდიას ხვდება, ბევრი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. ლონდონის „არსენალის“ მცველი ემანუელ პეტი ტრავმირებულია. დაშავებულია „ჩელსიში“ მოთამაშე დიდიე დეშამპი. კრისტოფ დიუგარი და ტიერი ანრი დისკვალიფიცირებულნი არიან. ტურინის „იუვენტუსის“ გამთამაშებელმა ზინედინ ზიდანმა და მადრიდის „რეალის“ ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ კი ნაკრებში თამაშისგან თავი შეიკავეს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ 18 აგვისტო. ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ — სლოვაკეთი

ისრაელის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ნირ დავიდოვიჩი (ჰაიფას მაქაბი), ერან სეინზინგერი (ნათანიას მაქაბი); მცველები — არიკ ბენადო, ალონ ჰარაზი (ჰაიფას მაქაბი), ოფერ ტალკარი, რან ბენ შიმონი, ამირ შელაჰი, დავიდ ამსალემი (ჰაიფას ჰაპოელი), ნაივან გრაები (ასტონ ვილა, ინგლისი); ნახევარმცველები — ვალიდ ბადირი (უიმბლდონი, ინგლისი), იან ტალასნიკოვი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია), იუსი აბუკსისი (იერუსალიმის ბეითარი), ალონ ჰაზანი (აშდოდი), ტალ ბენინი (ბრეშა, იტალია), ავი თიკვა (გრასჰოპერი, შვეიცარია), ჰაიმ რევივო (სელტა, ესპანეთი), ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); თავდამსხმელები — ნირ სივილია (ჰაიფას ჰაპოელი), ალონ მიზრაჰი (ნიცა, საფრანგეთი)

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ 18 აგვისტო. ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ — ესპანეთი

პოლონეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ადამ მატუშეკი (ლევერკუზენი, გერმანია), ერჟი დუდეკი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); მცველები — ტომაშ ვალდოხი (შალკე, გერმანია), რაფალ სიადაჩკა (აუსტრია, ავსტრია), ტომაშ კლოსი (ოსერი, საფრანგეთი), ტომაშ ჰაიტო (დუისბურგი, გერმანია), ტომაშ ლაპინსკი (ვიძევი), იაცეკ ზელინსკი (ლეგია); ნახევარმცველები — კრჟიშტოფ ნოვაკი (ვოლფსბურგი, გერმანია), დარიუშ ადამჩუკი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), პიოტრ სვიერჩევსკი (ბასტია, საფრანგეთი), რადოსლავ მიხალსკი (ვიძევი), მაციე ჟურავსკი (ლეხი), რადოსლავ კალუჟნი (ვისლა), ტომაშ ივანი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია); თავდამსხმელები — მიროსლავ ტრჟეჩიაკი (ოსასუნა, ესპანეთი), არტურ ვიშნიარეკი (ვიძევი)

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚ-ᲨᲘ
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

იუგოსლავია — ხორვატია

სარბიელის არქივიდან

ძირძველი ხორვატები — ზვონიმირ სოლდო და დრაჟენ ლადიჩი (მარცხნივ)

მათ სწამთ გამარჯვების!

დღეს ისტორიული შეხვედრაა — ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მერვე ჯგუფში იუგოსლავია ხორვატიას ეთამაშება.

იუგოსლავიას, ისევე როგორც ხორვატიას, ამ მატჩისთვის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდება.

მერვე შესარჩევ ჯგუფს იუგოსლავია ლიდერობს — ვუადინ ბოშკოვის ნაკრებმა აქამდე გამართული ყველა, სამივე შესარჩევი მატჩი მოიგო და ცხრა ქულა აქვს. ხორვატიას რაც შეეხება, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები მეოთხენი არიან — ოთხი თამაშიდან მათ მხოლოდ შვიდი ქულის მოპოვება შეძლეს.

გამარჯვება ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა თუ არაფერი, მას შემდეგ, რაც 1991 წელს იუგოსლავია დაიშალა და სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის ხორვატიაც ცალკე გამოეყო, ისინი პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

მატჩს ვარსკვლავები დააკლდებიან — იუგოსლავიას დრაგან სტოიკოვიჩი, დეიან სავიჩევიჩი და ვლადიმირ იუგოვიჩი არ ეყოლება, ხორვატები თავდამსხმელ ალენ ბოკშიჩს მოისაკლისებენ. მიზეზი ტრავმებია.

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი ვუადინ ბოშკოვი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მოიგებს. ამავე დროს ბოშკოვი კატეგორიული წინააღმდეგია, თამაშს რაღაც სხვა დატვირთვაც მიეცეს.

— ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია. ჩვენ ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ვართ — აცხადებს ბოშკოვი და განაგრძობს — ჩვენი მთავარი მიზანია, დღევანდელი შეხვედრა მოვიგოთ. ამის უკან არაფერია. იუგოსლავია კი აუცილებლად მოიგებს, დარწმუნებული ვარ.

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი, ისევე როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები თავს იკავებენ, არ უკეთებენ კომენტარს მითქმა-მოთქმას, რომელიც ამ დღეებში იუგოსლავიაში დაიწყო. ამბობენ, იუგოსლავიის მთავრობას ამ მატჩზე გაუგებრობების გარკვეულწილად მაინც თავიდან ასაცილებლად მატჩზე დასასწრები ოცი ათასი ბილეთი შეუსყიდიაო.

— არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენი ბილეთი იყიდა. დარწმუნებული ვარ, ხალხი ჩვენს საქომაგოდ მოვა და მხარს დაგვიჭერს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ქომაგნი გავახაროთ. გავახარებთ კიდეც — აცხადებს ბოშკოვი.

ხორვატთა მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩს მოახლოებულ მატჩზე თითქმის ისეთივე პროგნოზი აქვს, როგორც მის იუგოსლაველ კოლეგას, ოღონდ განსხვავებულად ფიქრობს.

— ჩვენი ნაკრების ყველა გამარჯვება ხორვატი ხალხის გამარჯვებას ნიშნავს. ახლაც ასე იქნება. ჩვენ იუგოსლავია უნდა დავამარცხოთ — ამბობს ბლაჟევიჩი.

ხორვატთა მწვრთნელმა გაზეთ „ვეჩერნი ლისტისთვის" მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: „ეს შეხვედრა უფრო მეტი იქნება, ვიდრე ფეხბურთი. ჩვენ იუგოსლაველებთან გამარჯვებას ხორვატ ხალხს მივუძღვნით!"

რამდენიმე იუგოსლაველმა ფეხბურთელმა დაიჩივლა, საზაფხულო არდადეგების შემდეგ ფორმა მთლიანად ვერ აღვიდგინეთო, თუმცა უკლებლივ ყველა მათგანმა თქვა, რომ იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

— მეტოქესთან შედარებით უკეთეს ფორმაში ვართ და დღესდღეობით ამ მატჩის მოგების გარდა არაფერი გვწადია. მჯერა, ხორვატებს დავამარცხებთ და ევროპის ჩემპიონატისკენ უდიდეს ნაბიჯს გადავდგამთ — განაცხადა ესპანურ „მალიორკაში" მოთამაშე იუგოსლაველმა ფეხბურთელმა იოვან სტანკოვიჩმა.

ვეტერანი მცველი მიროსლავ ჯუკიჩი, რომელიც სტანკოვიჩის დარად ესპანეთში თამაშობს, ოღონდ „ვალენსიაში", აცხადებს, რომ გუნდი ერთი მიზნით არის გაერთიანებული და გამარჯვების ყველას სჯერა.

— ხორვატია კარგი გუნდია და ამავდროულად შესარჩევ ჯგუფში ჩვენს უპირველეს მეტოქედ მესახება. გამარჯვება ჩვენთვის აუცილებელია. მწამს, მოვიგებთ.

ზორან მილოსავლიევიჩი

სარბიელის არქივიდან

იუგოსლაველებს პრედრაგ მიატოვიჩი უკაპიტნებს

სავარაუდო შემადგენლობები:

იუგოსლავია: ალექსანდრ კოჩიჩი (ცრვენა ზვეზდა), ზორან მირკოვიჩი (იუვენტუსი, იტალია), გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), სლავიშა იოკანოვიჩი (დეპორტივო, ესპანეთი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ალბერტ ნადი (ოვიედო, ესპანეთი), იოვან სტანკოვიჩი (მალიორკა, ესპანეთი), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი)

ხორვატია: დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), იგორ შტიმაცი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), დარიო სიმიჩი (ინტერი, იტალია), იგორ ტუდორი (იუვენტუსი, იტალია), რობერტ იარნი (რეალი, ესპანეთი), მარიო სტანიჩი (პარმა, იტალია), ალიოშა ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია), კრუნოსლავ იურჩიჩი (კროაცია), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი)

ფეხბურთის რუკასთან

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელად პირველად დაინიშნა ავსტრალიელი — კლუბ „მარკონის" თავკაცი ფრენკ ფარინა ქვეყნის პირველ გუნდს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოამზადებს. მარკონი შეცვლის რაულ ბლანკოს, რომელიც ინგლისელი ტერი ვენეიბლზის გუნდიდან წასვლის შემდეგ ნაკრების არაოფიციალური მწვრთნელი გახლდათ. თავის დროზე ფარინას ავსტრალიის ღირსებაც დაუცავს — იგი მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში და 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე, ფეხბურთს კი 1993 წელს დაანება თავი.

სამხრეთაფრიკელი ნახევარმცველი კინტონ ფორტუნი შესაძლოა, მადრიდის „ატლეტიკოდან" ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს. ოლდტრეფორდელები მზად არიან, სამხრეთაფრიკელის სანაცვლოდ 2,4 მილიონი დოლარი გადაიხადონ. ფორტუნი „მანჩესტერის" შოტლანდიელ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს ნახევარდაცვის გასაძლიერებლად სჭირდება. ფორტუნი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატშიც მონაწილეობდა.

ფრანგული „რენის" მცველი ლემონ დიატა უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ევროგათამაშებიდან ოთხი მატჩით მოკვეთა. ინტერტოტოს თასის ნახევარფინალში, ავსტრიულ „აუსტრიასთან" შეხვედრისას დიატამ ძალიან იუხეშა. სამმატჩიანი დისკვალიფიკაციები მიესაჯათ რიგის სკონტოელ ტერეშკინასს, „ვალეტას" ფეხბურთელ ედვარდ აზოპარდის და ბელგიური „სენტ ტრუიდენის" მოთამაშე გუნტერ ვერიანას.

ბრაზილიის ჩემპიონატის მე-4 ტური: ატლეტიკო პარანაენსე — სანტოსი 3:0; ვიტორია — გრემიო 0:2; პარანა — სპორტ რესიფე 1:0; პორტუგეზა — სან პაულუ 2:1; გუარანი — ჟუვენტუდე 1:0; ვასკუ და გამა — ბოტაფოგო 2:1; ბოტაფოგო რიბეირაო პრიეტო — გამა 1:3; კურიტიბა — კრუზეირო 2:2. ჩემპიონატს 9-9 ქულით „კორინთიანსი" და „გუარანი" ლიდერობს, თუმცა ამ უკანასკნელს მეტოქესთან შედარებით ორით მეტი შეხვედრა აქვს ნათამაშევი. მესამე ადგილს 8-8 ქულით „კრუზეირო" და „კურიტიბა" იყოფს.

არგენტინაში პირველი ჩემპიონატის, აპერტურას მეორე ტურის თამაშები გაიმართა: როსარიო სენტრალი — რივერ პლეიტი 1:2, ინდეპენდიენტე — ლანუსი 1:2; ბელგრანო — არგენტინოს ხუნიორსი 0:0; ფერო კარილი — ხიმნასია ლა პლატა 1:3; ინსტიტუდო დე კორდობა — ნიუელს ოლდ ბოისი 1:1; სან ლორენსო — უნიონი 3:1; ესტუდიანტესი — ველეს სარსფილდი 4:2. ორივე თამაშის მომგები „რივერ პლეიტი" და „სან ლორენსო" 6-6 ქულით ჩემპიონატის ლიდერები არიან. მესამე ადგილზეა „არგენტინოს ხუნიორსი".

ლიტვის ჩემპიონატის მე-6 ტურის ორი მატჩი გაიმართა: ეკრანასი — არდენა 1:0; ნევეჟისი — დაინავა 2:0. 12 ქულით დაუმარცხებლად პირველობს „ინკარასი". მეორე ადგილზე 11-11 ქულით ერთბაშად სამი გუნდია.

არგენტინელი თავდამსხმელი ლეონარდო ბიაჯინი დაახლოებით ორი თვე ველარ ითამაშებს — „მალიორკას" ფორვარდს ამ დღეებში საზარდულის ოპერაციას გაუკეთებენ. ბიაჯინის გასული სეზონის მიწურულს ტკივილები აწუხებდა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ გაუგებარი მიზეზების გამო ფეხბურთელისთვის ოპერაციის გაკეთება არ ინქარა. შეგახსენებთ, რომ ლეონარდო ბიაჯინი 1995 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულია.

პერუს ნაკრების მწვრთნელი ხუან კარლოს ობლიტასი თანამდებობიდან გადადგა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კი მისი შემცვლელის ძიებაშია. ობლიტასს, რომელიც პერუს პირველ გუნდს 1996 წლიდან წვრთნიდა, ძალიან აკრიტიკებდნენ. მისი ნაკრებიდან წასვლის მიზეზად ცუდ შედეგებს ასახელებენ — პერუ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, ამასთანავე, ახლახან დასრულებულ კონტინენტის პირველობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. ქვეყნის სპორტული პრესის ცნობით, ობლიტასს, სავარაუდოდ, უცხოელი სპეციალისტი შეცვლის. კანდიდატი სამია — არგენტინელი ოსვალდო პიაცა, ურუგვაელი სერხიო მარკარიანი და კოლუმბიელი ედგარ ოსპინია.

ბელგიის ჩემპიონატის სტარტზე განცდილი წარუმატებლობის შედეგად „ლოკერენის" მწვრთნელმა ვილი რეინდერსმა თანამდებობა დატოვა. იგი პირველი მწვრთნელია, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატმა შეიწირა. „ლოკერენის" წარმომადგენლის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა ვილი რეინდერსს ესაუბრა და ამჯობინეს, გაყრილიყვნენ. ამავე შეხვედრაზე მილანელის გადაწყვეტილებით, რეინდერსის ადგილს დროებით მისი თანაშემწე რუდი კოსი დაიკავებს. რეინდერსი „ლოკერენის" მწვრთნელად 1997 წელს დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი პირველ სეზონში მეექვსე, ხოლო მომდევნო წელიწადს მეხუთე ადგილზე გავიდა. ამ ჩემპიონატში „ლოკერენი" პირველ ტურში დამარცხდა 0:1 „ლომელთან", მეორე ტურში კი შინ 2:5 წააგო „ბრიუგესთან".

ინგლისურ კლუბებს შორის გარიგება შედგა — „საუთჰემპტონმა" პირველ დივიზიონში გავარდნილი „ბლექბერნ როვერსის" ნორვეგიელი ემილ ოსტენსტადი დაუთმო და 1,9 მილიონი დოლარიც ზედ დააყოლა. სანაცვლოდ კი თავდამსხმელი კევინ დეივისი მიიღო. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ დეივისი „საუთჰემპტონმა" „ბლექბერნს" 7,2 მილიონ გირვანქად მიჰყიდა. 22 წლის დეივისს გასულ სეზონში არ უმართლებდა — 21 მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა.

ესტონეთის ჩემპიონატის ლიდერმა, მაარდუს „ლევადიამ" ტალინის „ლანტანას" უმასპინძლა და მეტოქე 4:0 გაანადგურა. „ლევადია" 44 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და მდევარ ტალინის „ფლორას" მთელი 15 ქულით უსწრებს. მესამეზე 27 ქულით ვილიანდის „ტულევიკია".

ესტონეთის 21 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გუშინ ტალინში ბელგიასთან 1:7 წააგო. მასპინძელთაგან ერთადერთი ბურთი ტეეტ ალასმა გაიტანა. სტუმართაგან კი სამი რუსელმა, ორი სონკმა და თითოც ვან დენდერმა და რემასლემ შეაგდეს. გათამაშების ცხრილს 19 ქულით ჩეხეთის ნაკრები ლიდერობს. ბელგიამ და ლიტვამ 13-13 ქულა მოაგროვეს, თუმცა ბელგიას ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული. მეოთხე ადგილზე შოტლანდიაა (5 ქულა), მეხუთეზე ბოსნია (4), ხოლო ესტონელებმა შვიდიდან შვიდივე მატჩი წააგეს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

მარკ ბოსნიჩი: ანგარიშს გააჩნია

დღეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალი გოლკიპერი, ავსტრალიელი მარკ ბოსნიჩი, საუბრობს იმაზე, როგორ შეუერთდა „ოლდ ტრეფორდს“, როგორ შეცვალა პიტერ შმაიხელი და რისი იმედი აქვს მომავალში...

მარკ ბოსნიჩი

სარბიელის არქივიდან

— თქვენ ადრეც თამაშობდით „იუნაიტედში“. ძალიან შეცვლილი დაგხვდათ გუნდი?

— მთავარი განსხვავება ის გახლავთ, რომ დღევანდელ გუნდს, მაშინდელთან შედარებით, თითქმეტი ჯილდოთი მეტი აქვს მოპოვებული. რა თქმა უნდა, სხვა ცვლილებებიც შევნიშნე, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ, მაგრამ ზოგადად ხალხი და ურთიერთობები იგივეა. აქ რომ ვიყავი, გუნდმა ფეხბურთის ასოციაციისა და ევროპის თასების მფლობელთა თასები მოიგო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ დიდი წარმატებები ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

— „იუნაიტედიდან“ წასვლის შემდეგ ფიქრობდით, რომ ადრე თუ გვიან უნდა დაბრუნებულიყავით?

— გარკვეულ დრომდე არა. დასაქმების დეპარტამენტი და პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია ინგლისში მუშაობის უფლებას არ მაძლევდნენ და არც კი მეგონა, რომ ამ ქვეყანაში ოდესმე დავბრუნდებოდი, „მანჩესტერ იუნაიტედზე“ აღარაფერს ვამბობ. საბოლოოდ ბორბალი თავიდან დატრიალდა და მეც ძალიან იღბლიანი ბიჭი გამოვდექი.

— ძალიან ბევრი ჭორი დადიოდა, „იუნაიტედი“ ხან ამ მეკარეს ყიდულობსო, ხან იმასო... ხომ არ ფიქრობდით, რომ დიდ ტრანსფერს სხვა წაგართმევდათ?

— არა. სადმე გადასვლაზე ფიქრი ჩემს საქმედ არასდროს მიქცევია. ერთადერთი, რაც მაინტერესებდა, „ასტონ ვილაში“ კარგი სეზონის ჩატარება გახლდათ. სამწუხაროდ, ერთიზანობა დაშავებული გახლდით და მოედანს რომ დავუბრუნდი, გუნდი ყველა შეჯიბრებიდან გავარდნილი დამხვდა. ეს ძალიან სამწუხარო ამბავი იყო. მადლობა ღმერთს, რომ მოვლენები კიდევ უარესად არ განვითარდა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო. მოკლედ, გასული სეზონის ბოლოს მოედანს დავუბრუნდი, რაც, თავისთავად, ძალიან სასიამოვნო გახლდათ. „იუნაიტედზე“ კი სულაც არ ვფიქრობდი. იღბლიანი კაცი ვყოფილვარ.

— თქვენი ტრავმა მართლა ასე სერიოზული იყო?

— დიახ, გახლდათ. მხარი მტკიოდა და თურმე გაცილებით სერიოზულად, ვიდრე მეგონა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ ოთხი თვის გაცდენა მომიხდა.

— იმ წლებში, თქვენ რომ თამაშობდით, „ვილამ“ მიაღწია ყველაფერს, რისი მიღწევაც შეეძლო?

— პირველ წელიწადს, მე რომ მივედი, „ვილამ“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემდეგ მეორე ადგილი მოიპოვა, მერე კი, ჩემი შვიდწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, „იუნაიტედს“ ასე ვეღარ მივუახლოვდით. ლიგის თასის ორჯერ მოგება სულაც არ მსურს დავაკნინო, მაგრამ ვგონებ, მეტი გვმართებდა. „ასტონ ვილაში“ დიდებული წლები გავატარე, თუმცა ცხოვრების ეს თავი ახლა დამთავრებულია. მადლობას ვუძღვნი ბირმინგემელ ფანებსა და კლუბის ხელმძღვანელებს. დიდი დახმარება გამიწიეს და მათზე ცუდი ცხოვრებაში არ წამომცდება.

— მაგრამ, ალბათ, გასულ სეზონში მიხვდით, რომ კარიერაში სიახლე გჭირდებოდათ.

— დიახ, ეგრე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ „ასტონ ვილაში“ თავს ყოველთვის ჩინებულად ვგრძნობდი, ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა ნებისმიერ ადამიანზე ცუდად მოქმედებს. გარემოს შეცვლა და სიახლე აუცილებელია.

— ფაქტია, რომ დუაიტ იორკი „იუნაიტედში“ გადასვლიდან ერთ წელიწადში ჩინებულ ფეხბურთელად იქცა. როგორ გგონიათ, თქვენც იგივე გელითა?

— დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ასე მოხდება. „იუნაიტედში“ იმიტომ გადმოვედი, რომ ყველა ასპექტით გავძლიერდე. ვგონებ, კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზა ახლა მიდგას. ძალიან ბევრს ვმუშაობ და ვგონებ, მეც მოვიპოვებ მანჩესტერელებთან ერთად ჯილდოებს.

— თქვენ პიტერ შმაიხელის შემცვლელი ბრძანდებით. ეს, ალბათ, ძალიან დიდი ტვირთია.

— სულაც არ ვეჯიბრები შმაიხელს, ხოლო რაც შეეხება ტვირთს, იგი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე გვაწვია. [illegible] რა ხელოვნურ ვირეენ. [illegible] აზრით, სერიოზულებთან ბრძოლაში [illegible] ბის გამომუშავება გვმართებს. ვიცი, რომ საგანგებო მეთვალყურეობის ობიექტად ვარ ქცეული, მაგრამ ასეა, „იუნაიტედში“ გადასვლა ხომ ამას ნიშნავს.

— შმაიხელზე ამბობდნენ, მცველებს უყვიროდაო. თქვენ?

— მე ჩემი სტილი მაქვს. შეშფოთდს ხალხმა და თავად დაასკვნას. ნებისმიერი მეკარე, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი, განსხვავდება.

— ჩემპიონთა თასის ფინალის ბოლო წამებში, კუთხურის დროს მეტოქის საჯარიმოსკენ გაიქცევით?

— იცით, მე ჯერ მხოლოდ ვიმედოვნებ, რომ ჩემპიონთა თასის ფინალში ვითამაშებ. მგონი, ეს სრულიად საკმარისი უნდა იყოს. რაც შეეხება მეტოქის საჯარიმოსკენ გაქცევას — ანგარიშს გააჩნია.

— არის ისეთი მატჩი, რომელსაც მოუთმენლად ელით?

— ყოველთვის ასე ვიყავი: ჩემთვის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო. ძალიან მსიამოვნებს, რომ მსოფლიოს უძლიერეს კლუბში ვთამაშობ და ცხოვრებაში სიახლე მაქვს. ყოველდღე რაღაც საინტერესო ხდება, განსხვავებული. ამის შეგრძნება ჩინებული რამ გახლავთ.

— რას ელით ამ სეზონში „იუნაიტედისგან“?

— კონკრეტულად არაფერს. ზოგადად ველი, რომ ყველა შეჯიბრებაში, რომელშიც ვმონაწილეობთ, მაქსიმუმისთვის ვიბრძოლებთ. ვიცი, რომ დანარჩენი ფეხბურთელებიც ზუსტად ასე არიან. ჩვენ ყველაფრის მოგება გვსურს.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

ბექემ, შენი ცოლი...



აღშფოთებული დევიდ ბექემი

სარბიელის არქივიდან

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შაბათს, „ლიდს იუნაიტედს“ 2:0 მოუგო, მაგრამ ამჯერად ამ, უკვე მიმოხილული თამაშის დეტალებზე არაფრის თქმას ვაპირებთ. სხვა თემას გვინდა შევეხოთ და მასზე საუბარი დევიდ ბექემით დავიწყოთ.

გამარჯვებული „იუნაიტედის“ ვარსკვლავმა „ლიდსის“ გულშემატკივარს ცნობილი ჟესტი გაუკეთა — საჩვენებელი და შუა თითებით V გამოსახა. ეს ჟესტი ძველია და მოდის ლათინური სიტყვიდან ვიქტორია, რაც გამარჯვებას ნიშნავს. თუ გავიხსენებთ, რომ დევიდის მეუღლესაც ვიქტორია ჰქვია, მივხვდებით, რატომ მიეცათ ინგლისელ ჟურნალისტებს სიტყვებით ჟონგლიორობის საშუალება.

ახლა კი იმაზე, რისი თქმაც გვინდა და რატომაც ვახსენეთ მომღერალი ვიქტორია ადამსი ბექემისა. ბუნებრივია ინგლისის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე დევიდის გამოჩენა ენაბილწ და მოშურნე ფანებს მისის ბექემის ხსენების ხასიათზე აყენებს. ამით ფანები მოწინააღმდეგეს ებრძვიან.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი შეფი, გორდონ ტეილორი ამასთან დაკავშირებით ამბობს: „მოთამაშეები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები არიან და როდესაც მეუღლეებზე საძაგლობებს ისმენენ, რეაქციაც შესაბამისი აქვთ. ამის მერე მათი გამტყუნება ძალიან ძნელი ხდება“.

ამ მოსაზრებას, რომელსაც, ალბათ, ბევრი დაეთანხმება, პრინციპულად ვერ იზიარებს „ლიდს იუნაიტედის“ ოფიციალური ჟურნალის „ლიდსი, ლიდსი, ლიდსის“ მესვეტე ედი ტეილორი:

„ბექემთან დაკავშირებული შემთხვევით ნამდვილად ვერ ვიამაყებ, მაგრამ გორდონ ტეილორის ნათქვამსაც ვერაფრით გავამართლებ და მითუმეტეს ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ „ლიდს იუნაიტედს“ ფანების პრობლემა აქვს, ფანებს კი დახარისხება სჭირდება. მოგეხსენებათ, ნებისმიერი გულშემატკივარი ცდილობს ყველა ღონე იხმაროს თავისი ფეხბურთელების დასახმარებლად. ამაში მეტოქის წყობიდან გამოყვანაც შედის. ამას მიმართავენ ქომაგები და ამასვე მიმართავენ თავად მოთამაშეები. ფეხბურთელობის დროს ამას, ალბათ, თავად გორდონ ტეილორიც სჩადიოდა.

. მე ვთვლი, რომ ვინაიდან ყოველ ფეხბურთელს ხელფასი მაყურებლის მიერ გადახდილი ფულიდან ეძლევა, მათთან ვაჭრობა სრულიად პატიოსანი საქმეა. მართალი ბრძანებაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბექემი უდანაშაულო გახლდათ, მაგრამ იმავე ბექემმა, საკუთარი ქორწილის ფოტოების გადაღების უფლება ექსკლუზიურად გაყიდა უდიდეს თანხად და ამით ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

ფეხბურთელების გაღიზიანება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, წლობით ხდება, ამიტომაც უცბათ იმის მოთხოვნა, რომ ეს უნდა შეწყდეს იმიტომ, რომ ოჯახებს ეხება, სასაცილოა. ფეხბურთის ძირითადი აუდიტორია 20-40 წლის ხალხი გახლავთ, ხოლო ამ ასაკში გინება ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ვისაც ეს არ მოსწონს, წავიდეს და რაგბის უყუროს“.

ოფიციალურად 1991 წელს მიღებული ფეხბურთის მაყურებელთა აქტის მიხედვით, სტადიონებზე მეტოქის ლანძღვა და რასისტული ლოზუნგები აკრძალულია, მაგრამ ამ კანონს არავინ იცავს და ათასში ერთხელ თუ დასჯიან ვინმეს.

გახსოვთ ერიკ კანტონამ, „კრისტალ პალასის“ ფანი დედის გინებისთვის ტრიბუნაზე რომ გალახა? ახლა ბექემმა, გაცილებით უწყინრად, მაგრამ უპასუხა.

„მე ფეხბურთელის პასუხზე ხალხის შესაძლო მომდევნო პასუხი მაშინებს“ — ამბობს SKY SPORT-ის ექსპერტი ენდი გრეი — „ახლა ბექემს გაუმართლა, იმიტომ რომ მატჩი „ოლდ ტრეფორდზე“ იყო და „ლიდსს“ ცოტა გულშემატკივარი ჰყავდა ჩამოყოლილი, მაგრამ „ელანდ როუდზე“ რა მოხდებოდა?“

მიხეილ სურგულაძე

ფეხბურთი

XVII ტური. გიოტებორგი — იორგრიტე 1:0; კალმარი — მალმიო 1:0; ჰამარბი — ჰალმსტადი 1:0; იურგარდენი — ფრიოლუნდა 1:1; ნორჩიოპინგი — იორებრო 1:0; ჰელსინგბორგი — აიკ 0:2

აიკ	17	11	3	3	30:10	36
ჰელსინგბორგი	17	10	2	5	26:17	32
ჰალმსტადი	17	9	3	5	32:14	30
იორგრიტე	17	8	5	4	28:13	29
კალმარი	17	8	2	7	24:26	26
იორებრო	17	8	1	8	18:20	25
გიოტებორგი	17	6	5	6	16:23	23
ტრელებორგი	16	6	4	6	25:24	22
ფრიოლუნდა	17	5	6	6	20:24	21
მალმიო	17	5	3	9	19:27	18
ნორჩიოპინგი	17	4	5	8	17:26	17
ჰამარბი	17	4	5	8	18:28	17
ელფსბორგი	16	4	4	8	25:34	16
იურგარდენი	17	4	4	9	17:29	16

მატჩი გაუქმდა

თურქეთში მომხდარმა მიწისძვრამ, რომელმაც დაახლოებით რვაასამდე ადამიანი შეიწირა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია აიძულა, ნორვეგიასთან ამხანაგურ შეხვედრაზე უარი ეთქვა.

დღეისთვის დანიშნული მატჩი თურქეთსა და ნორვეგიას შორის აღარ გაიმართება.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის თქმით, თურქები სულაც არ იყვნენ ფეხბურთის ხასიათზე, შინ დაბრუნებას ჩქარობდნენ.

გაურკვეველია, შეხვედრა საერთოდ გაუქმდა, თუ მხოლოდ გადაიდო.

ნორვეგიელები უმალვე შეეცადნენ სპარინგ-პარტნიორი გამოენახათ თურქთა ნაცვლად, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლეს.

მიწისძვრა თურქეთში სამშაბათ დილას მოხდა, ქალაქ იზმირთან. ქალაქის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ეძინა და მსხვერპლიც საკმაოდ დიდია.

შავის ბრწყინვალება

ფაუსტინო ასპრილიას ძველი ბრწყინვალების დაბრუნება სურს. კოლუმბიელი ფეხბურთელი ამბობს, რომ მისთვის კარიერის დასრულება ჯერ ადრეა და იგი ყველაფერს იღონებს, რათა კვლავ ათამაშდეს ძველებურად.

დღესდღეობით „ტინო“ (ასპრილიას მეტსახელია) ბრაზილიური კლუბის, „პალმეირასის“ თავდამსხმელია. ამ გუნდს სიმკაცრით განთქმული სპეციალისტი ლუის ფილიპე სოლარი წვრთნის და კოლუმბიელი ფორვარდიც თვლის, რომ სწორედ მკაცრი რეჟიმის წყალობით შეძლებს დაკარგულის დაბრუნებას.

— სოლარისგან ბევრი რამ ვისწავლე. მის დავალებებს ზუსტად ვასრულებ. ეს მწვრთნელსაც ახარებს და მეც დარწმუნებული ვარ, ბევრს მივაღწევ — აცხადებს ასპრილია.

სოლარი, რომელსაც ბრაზილიაში „დიდ ფილადაც“ იცნობენ, ქვეყანაში თავისი საქმის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლება. მის გაწვრთნილ კლუბებს ბევრი ტიტული მოუგიათ. მწვრთნელი კი, მოგეხსენებათ, გამარჯვებებით ფასობს. სოლარის კარგი თვისებებიდან დისციპლინის სიყვარულსაც გამოარჩევენ — მისი გუნდები ამ მხრივ განსაკუთრებულნი არიან.

ასპრილია, რომელმაც ბრაზილიის ჩემპიონატში უკვე ითამაშა, „პალმეირასში“ იტალიური „პარმადან“ გადავიდა. „პარმა“ სწორედ ის კლუბია, რომელშიც კოლუმბიელმა თავდამსხმელმა სახელი გაითქვა, თუმცა ეს იყო 90-იანი წლების პირველ ნახევარში, შარშან კი ასპრილია ძველი ფაუსტინოს აჩრდილიღა იყო. თავის მხრივ, „პარმას“ გარდა იგი ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედშიც“ თამაშობდა, თუმცა თუ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩს სათვალავში არ ჩავაგდებთ, კოლუმბიელს ჩრდილოინგლისურ კლუბში თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია.

ფეხბურთელმა ცხოვრებას სხვა თვალით შეხედა. ასპრილია ამბობს, რომ მას მუდამ სურდა უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა და ამიტომაც არჩია „პალმეირასი“ რიგით ესპანურ და იტალიურ კლუბებს.

— ბრაზილიაში გადმოსვლამდე რამდენიმე კლუბი შემეხმიანა, ძირითადად იტალიიდან და ესპანეთიდან, მაგრამ მაინც აქეთ წამოსვლა ვამჯობინე. მიყვარს გამარჯვებები, ჩემპიონატების მოგება, ის კლუბები კი, ჩემს გადაბირებას რომ ცდილობდნენ, სუსტები არიან. მათ არ შესწევთ უნარი, პირველობისთვის იბრძოლონ.

ფაუსტინო ასპრილიას „პალმეირასი“ ბრაზილიის ბოლო წლების უძლიერესი კლუბია. ბევრი სწორედ „პალმეირასს“ უწინასწარმეტყველებს ჩემპიონობას. გარდა ამისა, გუნდი მერკოსურის თასის გათამაშებაში მონაწილეობს და ნოემბერში ევროპის უძლიერეს კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ უნდა შეერკინოს საკონტინენტთაშორისო თასისთვის.

კოლუმბიელს სჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს, მისი დრო კვლავ დადგება.

— ფრედი რინკონმა „კორინთიანსში“ მეორე ახალგაზრდობა ჰპოვა. მჯერა, მეც გავიბრწყინებ ბრაზილიაში — აცხადებს თავდამსხმელი.

კოტე ვაიტაძე

ფაუსტინო ასპრილია დაღვინებულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

მილანი: კრისტიან ციგე* (მიდლსბრო, ინგლისი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე ამენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტი (ემპოლი);** **ლაციო**: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** **იუვენტუსი**: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლაუშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** **ინტერი**: იური ჯორკაეფი* (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი);** **ფიორენტინა**: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** **პარმა**: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** **რომა**: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** **ბოლონია**: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** **უდინეზე**: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯოიტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლეროუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** **ბარი**: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რიგერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი);** **კალიარი**: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილმხო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** **ლეჩე**: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** **პერუჯა**: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** **პიაჩენცა**: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** **რეჯინა**: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** **ტორინო**: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტეი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** **ვენეცია**: რეკობა (ინტერი), აჰინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** **ვერონა**: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), პეზარი (მონაკო, საფრანგეთი), ფერეი (ინტერი), ანასტასი (ფოჯა).**

ესპანეთი

RFEF REAL FEDERACION ESPAÑOLA DE FUTBOL

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** **რეალი**: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი); **ნიკოლა ანელკა* (არსენალი, ინგლისი), ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** **სელტა**: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეკტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** **სარაგოსა**: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა);** **ატლეტიკო**: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), ჯიმი ჰასელბაინკი (ლიდსი, ინგლისი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** **ბეტისი**: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); **დეპორტივო**: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა ოიკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიკტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე);** **მალიორკა**: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუბა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რიგერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** **ბილბაო**: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** **სოსიედადი**: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაციი (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** **ალავესი**: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტი, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** **ვალენსია**: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** **რასინგი**: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიკტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** **მალაგა**: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი);** **კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** **ოვიედო**: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** **ესპანიოლი**: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერცეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდენპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** **სევილია**: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ვალიადოლიდი**: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** **ნუმანსია**: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** **რაიო ვალეკანო**: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ლია შრიფტით — გასხვისებული; * — უახლესი ტრანსფერი*

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაა ზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითარის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდა-განაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

შვედეთი. გადადებული მატჩი

18.08	011	ტრელებორგი — ელფსბორგი	1,5	3,4	5,6

იტალიის თასი. I ეტაპი. II ტური

18.08	013	ლეჩე — ტერნანა	1,25	4,4	8,0
	014	ფ. ანდრია — ლუკეზე	1,7	3,0	4,7
	015	ჩეზენა — სავოია	1,5	3,3	6,0
	016	სამპდორია — პალერმო	1,15	5,6	10,0
	017	ემპოლი — ჯენოა	1,7	3,0	4,7
	018	ლუმეცანე — მონცა	2,0	2,9	3,4
	019	პისტოიეზე — ატალანტა	2,5	2,9	2,5
	020	კრემონეზე — კიევო	2,4	2,9	2,6
	021	რეჯინა — გუალდო	1,3	4,0	7,5
	022	ტრევიზო — კოზენცა	1,4	3,5	7,0
	023	ფერმანა — სალერნიტანა	5,0	3,2	1,6
	024	ნაპოლი — კომო	1,35	3,8	7,0
	025	რეჯანა — სტაბია	1,9	3,0	3,5
	026	ბრეშა — პესკარა	2,2	2,8	3,1
	027	ვიჩენცა — სპალ	1,3	4,0	7,5
	028	ალძანო — რავენა	2,5	2,9	2,5

ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი

18.08	030	ჩესტერი — ნორთჰემპტონი	2,6	2,9	2,4

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

18.08	501	სლოვენია — ალბანეთი	1,35	3,8	7,0
	502	იუგოსლავია — ხორვატია	1,5	3,3	6,0

ამხანაგური მატჩები

18.08	503	ბელგია — ფინეთი	1,4	3,5	7,0
	504	ბელარუსი — რუსეთი	6,0	3,3	1,5
	505	დანია — ჰოლანდია	2,9	2,8	2,3
	506	ნორვეგია — თურქეთი	1,6	3,0	5,6
	507	პოლონეთი — ესპანეთი	4,2	2,9	1,8
	508	ჩეხეთი — შვეიცარია	1,5	3,2	6,5
	509	ჩრდ. ირლანდია — საფრანგეთი	7,0	3,8	1,35
	510	კვიპროსი — რუმინეთი	6,5	3,2	1,5
	511	შვედეთი — ავსტრია	1,4	3,5	7,0
	512	უკრაინა — ბულგარეთი	1,6	3,0	5,6
	513	პორტუგალია — ანდორა	1,01	10,0	20,0
	514	ესტონეთი — სომხეთი	1,7	3,0	4,7
	515	უნგრეთი — მოლდოვა	1,3	3,8	8,0

შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია
(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

CHAMPIONS LEAGUE — ჩემპიონთა თასი

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

რომელი ქვეყნის ნარჩომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

UEFA CUP — უეფას თასი

რომელი ქვეყნის ნარჩომადგენელი გაიმარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
ჰაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (გუძარესტი)	50,0

გადაძრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადაძრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ПРОЩАНИЕ С ТОВАРИЩАМИ

Ташкент. 17 августа. (ТАСС). Сегодня тысячи жителей Узбекистана проводили в последний путь футболистов команды «Пахтакор», погибших в авиационной катастрофе.

В цветах портреты тренера команды заслуженного тренера Узбекской ССР И. В. Тазетдинова, мастеров спорта СССР международного класса М.-И. Ана, В. Н. Федорова, мастеров спорта СССР А. М. Аширова, Р. Р. Агишева, К. А. Баканова, Ю. Т. Загуменных, А. И. Корченова, Н. В. Куликова, В. В. Макарова, С. К. Покатилова, В. Н. Чуркина, кандидатов в мастера спорта С. А. Базарова, Ш. М. Ишбутаева, В. В. Сабирова, администратора команды М. И. Талибжанова, врача В. В. Чумакова.

Выступавшие на траурной церемонии говорили об их большом вкладе в развитие советского спорта, в популяризацию футбола в Узбекистане, об их общественной деятельности.

В этот же день состоялись похороны. На могилы были возложены венки от партийных, советских, профсоюзных, комсомольских и спортивных организаций.

ეს ცნობა გაზეთმა „ფუტბოლმა“ 19 აგვისტოს გამოაქვეყნა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში არაერთი საშინელი ავიაკატასტროფა მომხდარა. ევროპაში ყველაზე ცნობილი „ტორინოსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემთხვევებია. ყოფილ საბჭოთა კავშირში მომხდარ ტრაგედიას კი, ალბათ, ანალოგი არც ექნება. 1979 წლის 11 აგვისტოს ტაშკენტის „პახტაკორი“ დაიღუპა, თანაც მათი თვითმფრინავი ჰაერში მეორეს დაეჯახა, რომელსაც „არტეკიდან“ ბავშვები მოჰყავდა...

„ის პახტაკორი“ მართლაც გამორჩეული იყო. მისი რამდენიმე ფეხბურთელი სსრკ-ის ნაკრების კანდიდატებიც იყვნენ.

11 აგვისტოს, როცა „პახტაკორის“ თვითმფრინავი აფეთქდა, თბილისის „დინამომ“ მოსკოველ თანაკლუბელებს სსრკ-ის თასის ფინალი მოუგო. ახლადდაკომპლექტებულმა „პახტაკორმა“ ტრაგედიის შემდეგ პირველი მატჩი სწორედ თბილისის „დინამოსთან“ გამართა. დინამოელები, რომლებიც ამ დროისათვის სატურნირო ცხრილში კიეველებთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ, მინდორზე შავი სამკლაურებით გამოვიდნენ და ახალ შეკოწიწებულ გუნდთან 1:2 წააგეს... რატომ წააგეს, ალბათ გასაგებია.

ამ ტრაგედიიდან ზუსტად 20 წელიწადი გავიდა და გაზეთ „იზვესტიის“ მიმომხილველი სემიონ ნოვოპრუდსკი, რომელიც მაშინ ტაშკენტში ცხოვრობდა და ბევრი რამის თვითმხილველიცაა, შემდეგს მოგვითხრობს.

გადადებული სიკვდილი

1979 წლის 11 აგვისტოს ტაშკენტის „პახტაკორი“ ავიაკატასტროფაში დაიღუპა, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ 18-ში გამოაცხადეს

იმ ზაფხულს დედასთან ერთად კიევში ნათესავებთან ვსტუმრობდი. 12-ში საღამოს ჩემი ბიძაშვილი, რომელიც კიევის ანტონოვის სახელობის საავიაციო გაერთიანებაში მუშაობდა, შინ მოვიდა და თქვა: „გვითხრეს, გუშინ სადღაც დონეცკთან ორი თვითმფრინავი აფეთქებულა. ამბობენ, ერთ-ერთით თქვენი „პახტაკორი“ მიფრინავდაო.“

„პახტაკორის“ დაღუპვის ოფიციალური ცნობა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, 18 აგვისტოს, გამოქვეყნდა. ცნობა პატარა იყო და სულ ათიოდე სტრიქონს მოიცავდა. წერდნენ, ტაშკენტი — დონეცკი — მინსკის მიმართულებით მიმავალი თვითმფრინავი აფეთქდა. შიგ მყოფი ტაშკენტის „პახტაკორის“ ფეხბურთელები დაიღუპნენო. მეორე თვითმფრინავზე არსად არაფერი დაუწერიათ.

ამ საშინელ კატასტროფამდე ერთი კვირით ადრე დედაჩემმა ინტერვიუ ჩამოართვა „პახტაკორის“ მაშინდელ მთავარ მწვრთნელ ოლეგ ბაზილევიჩს. „პახტაკორი“ უზბეკეთის ნაკრების სახელით საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მონაწილეობდა. ტურნირი კიევში მიმდინარეობდა და აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთ კვირაში ასეთი საშინელება დატრიალდებოდა, ხოლო „პახტაკორის“ ფეხბურთელებთან ის ინტერვიუ ბოლო იქნებოდა.

ტრაგედიის წვრილმანები გაცილებით გვიან გავიგეთ. მეორე თვითმფრინავით ბავშვები მგზავრობდნენ. ისინი „არტეკიდან“ მშობლიურ ჩელიაბინსკში ბრუნდებოდნენ. მიწიდან თვითმფრინავებს ხარკოვის დისპეჩერთა ბრიგადა მართავდა. ერთი გამოცდილი, ორმოცს გადაცილებული კაცი გახლდათ, მეორე ახალგაზრდა. ოცი წლის სტაჟიორი. უფროსი, ცხადია, ყურადღებით აკონტროლებდა უმცროსის მოქმედებას, მაგრამ რაღაც მომენტში თვალი ვერ მიადევნა. წესის თანახმად, თვითმფრინავებს შორის საჰაერო დერეფანი სიმაღლეში 200 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ახალგაზრდამ ერთ-ერთ ლაინერს არასწორი სიმაღლე უკარნახა, პილოტმა ზუსტად შეასრულა ნათქვამი და ორი თვითმფრინავი, რომლებიც მაქსიმალური სიჩქარით მიფრინავდნენ, ჰაერში შეეჯახნენ ერთმანეთს. სამგზავრო თვითმფრინავების ასეთი შეჯახება საბჭოთა ავიაციის ისტორიაში არ ყოფილა. საცოდავმა სტაჟიორმა თავისი შეცდომა ვერ გადაიტანა და თავი ჩამოიხრჩო...

ოლეგ ბაზილევიჩი კი დედის ავადმყოფობამ გადაარჩინა. ის ერთი დღით ადრე მშობლიურ კიევში გაფრინდა და გუნდს მინსკში უნდა შეერთებოდა, ადგილობრივ „დინამოსთან“ თამაშის დღეს. არ უნდა დაღუპულიყო „პახტაკორის“ კაპიტანი მიხაილ ანიც, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში ყველაზე უკეთ ასრულებდა „ხმელ ფოთოლს“, თანაც ხშირად გოლები პირდაპირ კუთხურიდან გაჰქონდა. ანს ტრავმა აწუხებდა და შინ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ უზბეკეთის პარტიულმა ხელმძღვანელობამ (ამბობენ, საქმეში თვით ცკ-ის პირველი მდივანი შარაფ რაშიდოვი ჩაერთო) კაპიტანი დაიყოლია, გუნდთან ერთად გაფრენილიყო და ბიჭები მორალურად გაემხნევებინა. სამაგიეროდ, გუნდის ადმინისტრატორი ტალიბჯანოვი პირდაპირ ტრაპიდან ჩამოსვეს. გაფრენის წინ ზომაზე მეტი დალია და ამგვარად დასაჯეს...

1979 წლის „პახტაკორში“ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ორ მათგანს გავიხსენებ. მეკარე ალექსანდრ პოკოტილოვს ერთ მატჩში აღებული პენალტების რეკორდი ეკუთვნის. 1973 წელს, როცა სსრკ-ის ჩემპიონატში თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში თეთრთმეტმეტრიანებს ურტყამდნენ, პოკოტილოვმა „ზენიტს“ სამი პენალტი აუღო. 20 წლის თავდამსხმელი შუხრატ იშუტაევი პირველ სეზონს ატარებდა უმაღლეს ლიგაში. მან ისე დაიწყო, როგორც არასოდეს არც ერთ უზბეკ ფეხბურთელს არ დაუწყია. მას ყველა წინაპირობა ჰქონდა იმისათვის, რომ მსოფლიოს კლასის ფორვარდი გამხდარიყო, მაგრამ... ახლა ის მხოლოდ ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ.

მერე ტაშკენტში ინტერნაციონალური გუნდი შეიქმნა. მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ანდრეი იაკუბიკი „პახტაკორში“ თავდამსხმელად მოგვევლინა და საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მაგრამ ტაშკენტში დღესაც სჯერათ, 1979-ში გუნდი რომ არ დაღუპულიყო, აუცილებლად აიღებდა მედლებს. ამას თავისი ლოგიკაც გააჩნია. გუნდი სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშობდა და 1975 წელს თვით დაუმარცხებელ კიევის „დინამოსაც“ 5:0 მოუგო.

დღეს ტაშკენტს იმ „პახტაკორის“ ფეხბურთელებისა და მწვრთნელების სახელობის ქუჩები ამშვენებს. საფლავებზე კვლავაც უხვადაა ყვავილები და თუ გაიგონებთ, რომ აქაური ქომაგები საყვარელი გუნდის გამარჯვებებზე ლაპარაკობენ, შეგიძლიათ დარწმუნებულნი იყოთ, ისინი „პახტაკორ-79“-ს იხსენებენ.

„იზვესტია“

რუდის ცუდი პერიოდი

„ნიუკასლ იუნაიტედის“ დაჩაჩანაკების ამბავი დღეს ინგლისში ერთ-ერთი უმთავრესი საფეხბურთო თემა გახლავთ. ამ გუნდისთვის ახალი სეზონი მართლაც საშინლად დაიწყო. პირველივე შეხვედრაში ავის მომასწავებელი რამ მოხდა: კაპიტანი და ყველაზე სახელოვანი ფეხბურთელი, ალან შირერი, მოედნიდან გააძევეს. ვინაიდან შირერმა წითელი ბარათი კარიერაში პირველად იხილა, ეს ფაქტი საგანგებო გარჩევის საგნად იქცა.

თუმცა თავი დავანებოთ ნიშნებსა და მინიშნებებს. ფაქტია: „ნიუკასლმა“ სამ ტურში სამი მარცხი იწვნია. ყველა ელოდა, რომ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, რუდ გულიტს, კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები უნდობლობას გამოუცხადებდნენ, მაგრამ...

„ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დირექტორატი და ფეხბურთელები ჩემს გადადგომას მოითხოვდნენ, მაგრამ ისინი, გულშემატკივრებთან ერთად, ერთობ დიდსულოვანნი აღმოჩნდნენ და მხარში ამომიდგნენ. ჩემი მხრივ მინდა განვაცხადო, რომ გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და თუ დროს მომცემენ, ეჭვი არ მეპარება, რომ მას ჩინებულად ავამუშავებ. ხალხს არც ის უნდა დაავიწყდეს, რომ ცხრა წამყვანი ფეხბურთელი დაშავებული გვყავს და როდესაც ყველა გამოჯანმრთელდება, მერწმუნეთ, „ნიუკასლი“ დიდებულად ითამაშებს“ — განაცხადა მან.

კვირას, როდესაც „ნიუკასლმა“ საუთჰემპტონში 2:4 წააგო, Sky TV-სთვის მიცემულ ინტერვიუში ნირწამხდარმა ჰოლანდიელმა კითხვაზე, აპირებს თუ არა თანამდებობიდან წასვლას, ლაკონურად უპასუხა: „ვინ იცის, რა მოხდება“.

ორშაბათს, ბრიტანული გაზეთები წერდნენ, რომ გულიტმა კლუბის დირექტორატს თავისი გადადგომა შესთავაზა, მაგრამ დირექტორატმა აზრი შეაცვლევინა.

გულიტი, რომელიც „ნიუკასლამდე“ ლონდონის „ჩელსის“ წვრთნიდა, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ ერთი წლის წინ გადაბარგდა და ფეხბურთელების ყიდვაში 54 მილიონ დოლარამდე დახარჯა. ბოლო შენაძენი გახლდათ მეკარე ჯონ კარელსი, რომელშიც ჰოლანდიურ „ბრედას“ 1,21 მილიონი დოლარი გადაუხადა.

მეორე ტურში, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ 1:3 დამარცხების შემდეგ დაირხა ხმები, რომ მწვრთნელს ალან შირერთან გაუფუჭდა ურთიერთობა. იმ მატჩის შემდეგ, ტელეინტერვიუში, გულიტმა განაცხადა, რომ წაგებაში ფეხბურთელებს ადანაშაულებს. საღამოს გაზეთებმა მყისვე აიტაცეს ეს ფრაზა.

ბევრი დაიწერა იმის თაობაზეც, რომ ჰოლანდიელი ხშირად გარბის ამსტერდამში, სადაც მეგობარი ქალი ესტელ კრუიფი, ეგულება. დიდი იოჰანის ძმისშვილთან ნებივრობა გულიტს, თურმე, „ნიუკასლის“ ბაზაზე ყოფნას უჯობს.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავმჯდომარემ ფრედი შეფერდმა და აღმასრულებელმა შეფმა ფრედი ფლეტჩერმა მწვრთნელს მხარი დაუჭირეს, თუმცა კომენტარი არაფრისთვის გაუკეთებიათ.



რუდ გულიტი

В УПРАВЛЕНИИ ФУТБОЛА СПОРТКОМИТЕТА СССР

«ПАХТАКОР» НЕ ОСТАНЕТСЯ БЕЗ ПОМОЩИ

В СВЯЗИ с тем, что в авиационной катастрофе погибли многие футболисты основного состава ташкентского «Пахтакора», Спорткомитет СССР принял постановление об оказании практической помощи команде.

По просьбе корреспондента газеты «Советский спорт» это постановление комментирует начальник Управления футбола Спорткомитета СССР В. КОЛОСКОВ:

— Прежде всего, в «Положение о чемпионате» внесено дополнение, предусматривающее сохранение за «Пахтакором» места в высшей лиге в течение трех лет.

Далее. В порядке исключения, тренерам ташкентской команды в нынешнем и следующем сезонах разрешается приглашать футболистов из других клубов независимо от сроков, указанных в «Инструкции о порядке переходов игроков».

Надо отметить, что руководители и тренеры всех наших клубов, в связи с трагической гибелью футболистов «Пахтакора» немедленно откликнувшись на постановление Спорткомитета СССР, оказывают сейчас практическую помощь лучшей команде Узбекистана. В «Пахтакор» уже командированы несколько игроков, в том числе Глушаков из московского «Спартака», Нечаев из «Черноморца», Бондарев из ЦСКА, Церетели из кутаисского «Торпедо» и другие.

Старший тренер «Пахтакора» О. Базилевич, естественно, использует эту помощь со стороны, но в то же время при комплектовании команды делает ставку на игроков своего дублирующего состава, а также на перспективных футболистов из других коллективов республики. Словом, у нас есть все основания надеяться, что «Пахтакор» по-прежнему будет среди сильнейших клубов страны.

Трагедия произошла, когда ташкентские футболисты направлялись на встречу с минским «Динамо». Увы, матч уже не мог состояться в назначенные сроки, как и игра в Алма-Ате с «Кайратом» 18 августа (в этот день проходили похороны погибших футболистов «Пахтакора»). Поединки с минчанами и алмаатинцами, как сообщалось, перенесены на более позднее время.

ევროპული ტრანსფერები

სლოვენია

სლოვანმა უგრეხელიძე ტრიგლავს ათხოვა



დავით უგრეხელიძე

ფოტო: ფიბაეროპის ოფიციალური საიტიდან

ლიუბლიანის „სლოვანს“, ეტყობა, ებევრა ერთბაშად ოთხი ქართველი და მომავალი სეზონის განაცხადში სამი მათგანი, ვლადიმერ ბოისა, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ირაკლი კეიდია შეიყვანა. რაც შეეხება ცენტრ დავით უგრეხელიძეს, „სლოვანმა“ იგი ქალაქ კრანის „ტრიგლავში“ გაანათხოვრა.

„ტრიგლავმა“ სლოვენიის ბოლო ჩემპიონატშია მეცხრე ადგილი დაიკავა. უგრეხელიძის გარდა გუნდში სამი ლეგიონერია და სამივე ცენტრი: სლოვაკი მელუსი (215 სმ), იუგოსლავიელი ნებოიშა გალიჩი (201 სმ) და ხორვატი ნიკშა ტარლე (207 სმ). ამათგან „სუფთა“ ცენტრები მელუსი და უგრეხელიძე არიან, ხოლო გალიჩი და ტარლე ხშირად თავდამსხმელის ამპლუაში თამაშობენ.

ამასობაში „სლოვანმა“ ამხანაგური მატჩი გამართა ბოსნიურ გუნდთან, სარაევოს „ბოსნასთან“ და 73:78 დამარცხდა. ცქიტიშვილმა ორი ქულა გააკეთა.

ისრაელი

ებრაელი ჯორდანის ამოსაყვანად

თელ ავივის „მაკაბიმ“ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოაჩინა მოთამაშე, რომელსაც „ებრაელ ჯორდანს“ ეძახიან. 19 წლის ტამირ გუდმანმა ბოლო სეზონი ბალტიმორის „თალმუდიკალ აკადემიში“ (ებრაული სკოლაა) ითამაშა და ახლა მერილენდის უნივერსიტეტში სურს გადასვლა. „მაკაბი“ კი ცდილობს, რომ გუდმანს ამერიკაში დარჩენა გადააფიქრებინოს და თავის რიგებში ათამაშოს.

190-სანტიმეტრიანი „ებრაელი ჯორდანი“ ღრმად მორწმუნე იუდეველია. იგი კატეგორიულად უარობს შაბათობით და დღესასწაულებზე თამაშს. ექსპერტთა აზრით, იგი დიდი ნიჭის პატრონია და მიზანმიმართული წვრთნის შემთხვევაში არც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრა გაუჭირდება. ეს კარგად იცის „მაკაბიმ“ და ამიტომაც ხმარობს ყველა ღონეს გუდმანის ისრაელში, მის ისტორიულ სამშობლოში ამოსაყვანად.

სანამ „მაკაბი“ გარე-გარე ეძებს მოთამაშეებს, ჰოლონის „ჰაპოელმა“ 32 წლის ხორვატი გამოცდილი ვლადან ალანოვიჩი დაისაკუთრა. კონტრაქტი ერთწლიანია. 194-სანტიმეტრიანი ალანოვიჩი ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა. წინა სეზონი მან ესპანურ „მურსიაში“ დაიწყო და თურქულ „ტელეკომ ანკარაში“ დაასრულა.

ლიტვა

კაზლაუსკასმა ბეკი შეიწყალა

კაუნასის „უალგირისი“ მკაცრი სატრანსფერო პოლიტიკის მიმდევარია. ამაზე მოწმობს ის პედანტურობა და მოთმინება, რომლითაც იგი სინჯავს მოთამაშეებს. ახლახან „უალგირისს“ ლიტვის ქალაქ პალანგაში ჰქონდა შეკრება და იქ ორმა ახალგაზრდა მოთამაშემ ჩააკითხა. ბულგარელი ბოიკო მლადენოვი (18 წლის, 213 სმ, ცენტრი) კაუნასელებმა სამი დღე ავარჯიშეს და მერე შინ გააბრუნეს. ლატვიელ რაიტის გრაფსს (18 წლის, 209 სმ, ცენტრი) კი ესეც არ ეღირსა — მისი დაწუნებისთვის ერთი ვარჯიშიც საკმარისი აღმოჩნდა. „უალგირისის“ ხელმძღვანელობის აზრით, ლიტვის საკალათბურთო სკოლებში უამრავი ნიჭიერი ყმაწვილი იზრდება. ამიტომ, თუკი უცხოელი მოგყავს, იგი ლიტველ კონკურენტზე გაცილებით ძლიერი უნდა იყოსო. „უალგირისს“ გასასინჯად კიდევ ერთი ახალგაზრდა კალათბურთელი ჰყავს შეგულებული — პრინსტონის უნივერსიტეტის ყოფილი ფორვარდი, ამერიკელი გრეგ ლევულისი. ეს მოთამაშე ისრაელში გაფრინდა და მონაწილეობას მიიღებს „უალგირისის“ შეკრებაში, რომელიც ქალაქ რამათ-განში გაიმართება. სხვა კანდიდატებთან შედარებით, ლევულისს დიდი უპირატესობა აქვს — წარმოშობით ლიტველია და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი მოთამაშის სტატუსით შეეძლება ასპარეზობა.

ამასობაში „უალგირისის“ მწვრთნელი იონას კაზლაუსკასი შემწყნარებელი გახდა და მნიშვნელოვნად შეარბილა დამოკიდებულება ამერიკელი უკანახაზელის კორი ბეკის მიმართ. ორიოდ დღის წინ მწვრთნელმა განაცხადა, რომ აღარ დაუცდიდა ამერიკელს და მის სანაცვლოდ სხვა მოთამაშეს შეიძენდა. გუშინ კაზლაუსკასმა აზრი შეიცვალა და თქვა, რომ თანახმაა დაუცადოს ბეკის გადაწყვეტილებას, ოღონდ გარკვეული დროის მანძილზე. ამერიკელს რამდენჯერმე სურდა ლიტვაში ჩასვლა, მაგრამ პირადი პრობლემების გამო ვერ მოეხერხებინა. ახლა სიტუაცია შეიცვალა და მოლაპარაკება ბეკსა და „უალგირისს“ შორის ამ კვირაშივე შეიძლება დაიწყოს.

თავისუფალი აგენტების ბაზარი

16 აგვისტო

მაიამი ჰითი: შეინარჩუნა ფორვარდი დან მარლი

საკრამენტო კინგზი: აიყვანა „გოლდენ სტეიტის“ ყოფილი უკანახაზელი ტონი დელკი (მრავალწლიანი კონტრაქტი)

ჰითში დარჩა მარლი

დან მარლი

სარგებლის არქივიდან

„მაიამი ჰითმა“ მოსალოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და შეინარჩუნა თავისუფალი აგენტი, ფორვარდი დან მარლი, რომელიც გუნდში 1996 წლის აგვისტოდანაა. მარლის ახალი კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია.

33 წლის მარლი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა. მისი კარიერა 11 წლის წინ დაიწყო „ფინიქს სანზში“, სადაც დანმა შვიდი სეზონი გაატარა. 1995-96 წლებში „კლივლენდ კავალიერზში“ იყო, შემდეგ კი „მაიამი ჰითს“ შეუერთდა. 1993 წელს მარლი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალში გავიდა, მაგრამ მისი „ფინიქსი“ მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგო ბულზთან“ დამარცხდა. ლიგაში 768 მატჩი უთამაშია და საშუალოდ 12,8 ქულა, 4,7 მოხსნა და 3,1 პასი გაუკეთებია. კალათბურთელის კარიერა 110 საპლეიოფო მატჩსაც ითვლის.

წინა სეზონში მარლიმ 48 მატჩი ითამაშა. იგი ხან ძირითად ხუთეულში იყო, ხან შეცვლაზე შემოდიოდა. მწვრთნელი პატ რაილი ხან ფრთად ათამაშებდა, ხანაც მსროლელად გაამწესებდა ხოლმე. ამის გამო მარლის თამაშს სტაბილურობა მოაკლდა და საშუალო შედეგიანობამ იკლო: 7,0 ქულა და 4,3 მოხსნა.

198-სანტიმეტრიან მარლის სამჯერ მიუღია მონაწილეობა ოლ-სტარში და ორჯერაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დაცვის მეორე ხუთეულში დაუსახელებიათ. კარიერაში 1114 სამქულიანი ჩაუგდია და ამ მაჩვენებლით ყველა დროის საუკეთესოთა ათეულშია. 1994 წელს დანი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა — „დრიმ თიმ 2“-მა ტორონტოში გამართული შეჯიბრება მოიგო.

„მაიამი“ მაინცდამაინც არ აქტიურობს თავისუფალ აგენტთა ბაზარზე. მარლიმდე მან „ვაშინგტონიდან“ გადმოიყვანა ოთის თორპი, სამაგიეროდ „სან ანტონიოში“ გაექცა ტერი პორტერი. „ჰითს“ კიდევ ჰყავს რამდენიმე თავისუფალი აგენტი: მარტი კონლონი, ბლუ ედვარდსი, ტერი მილზი, რექს უოლტერსი და ვოშონ ლენარდი. მათი ბედიც, ალბათ, მალე გაირკვევა.

ატლანტა ხალხს ყრის

„ატლანტა ჰოქსმა“, აქაოდა შემადგენლობას ვაახალგაზრდავებო, გუნდიდან დაითხოვა ორი ვეტერანი ფორვარდი, ტაირონ კორბინი და დუეინ ფერელი.

36 წლის კორბინმა შარშან 47 მატჩი ითამაშა. იგი ამპლუით ფრთაა, მაგრამ დაშავებული სტივ სმიტის შეცვლა უწევდა და ამიტომ მსროლელადაც ითამაშა. კორბინის საშუალო შედეგიანობა 7,5 ქულა და 3,1 მოხსნა იყო. ამდენად, „ჰოქსის“ ხელმძღვანელობა მისი თამაშით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ, ჩანს, ასაკმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

კორბინს 14 წელიწადი გაუტარებია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. კარიერა 1985 წელს დაიწყო „სან ანტონიოში“, შემდეგ კი ითამაშა „კლივლენდში“, „ფინიქსში“, „მინესოტაში“, „იუტაში“ და „ატლანტაში“. კორბინი „ატლანტა ჰოქსში“ 1994 წელს მივიდა. 1998 წელს ახალი, ორწლიანი კონტრაქტი დადო, რომელიც „ჰოქსმა“ შუა გზაზე გაუწყვიტა.

34 წლის დუეინ ფერელი ძირძველი ატლანტელია. სტუდენტობისას ჯორჯიის ტექნიკური უნივერსიტეტის ვარსკვლავი იყო. სწავლის დამთავრების შემდეგ „ატლანტა ჰოქსში“ მივიდა და პროფესიული კარიერის პირველი ექვსი სეზონი იქ გაატარა. მერე ფერელმა „ინდიანა პეისერზში“ და „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“ ითამაშა. წინა სეზონში მარცხენა მუხლის მყესები დაუწყდა და „ვორიორზის“ მხოლოდ რვა მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამ ზაფხულს „გოლდენ სტეიტმა“ ფერელი და უკანახაზელი ბიმბო კოულზი მისცა „ატლანტას“, სანაცვლოდ კი მუკი ბლეილოკი მიიღო. ფერელს მშობლიურ კლუბში დაბრუნება კი გაუხარდა, მაგრამ თავად კლუბი სხვაგვარად მოიქცა.

ელიოტმა ოპერაცია კარგად გადაიტანა



შონ ელიოტი

სარგებლის არქივიდან

„ერთდროულად ამაყიც ვარ და ბედნიერიც, რადგან ჩემს ძმას მძიმე წუთებში უნდა დავეხმარო. ჩემი ძმა ყოველთვის ჩემს გვერდით იყო. ახლა მე ვაპირებ იგივეს. ჩვენთან არს ღმერთი!“ — თქვა ორშაბათს, დილის 8 საათზე სან ანტონიოს ერთ-ერთი საავადმყოფოს საოპერაციოში შესვლის წინ 32 წლის ნოელ ელიოტმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ უროლოგმა სემი ვიკმა ნოელ ელიოტს მარცხენა თირკმელი ამოკვეთა.

ამ დროს, გვერდითა საოპერაციო მაგიდაზე, პროფესორი ფრენსის რაიტი საოპერაციოდ ამზადებდა 31 წლის შონ ელიოტს, „სან ანტონიო სფურზის“ ფორვარდს, რომლისთვისაც უნდა გადაენერგათ ამოკვეთილი თირკმელი.

ოპერაცია რვა საათს გაგრძელდა. თირკმლის გადანერგვა წარმატებით განხორციელდა. შონ ელიოტი თავს ნორმალურად გრძნობს. ჯერჯერობით იგი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, მაგრამ დღეისთვის უკვე ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანენ. ექიმ რაიტის თქმით, ყველაფერი ნორმალურად წარიმართა: ანესთეზია, თავად ოპერაცია, ნარკოზიდან გამოსვლის პროცესი... თუკი არაფერი გართულდა, შონ ელიოტს მომავალ კვირაში სახლში გაუშვებენ.

ნოელ ელიოტი კი უკვე ჩვეულებრივ პალატაშია. ექიმების აზრით სამ-ხუთ დღეში მას შინ წასვლა შეუძლია.

დოქტორმა რაიტმა ოპერაციის შემდეგ პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც ბევრი საინტერესო რამ გაირკვა.

შონ ელიოტს ორივე თირკმელი დაზიანებული ჰქონდა, მაგრამ ექიმებმა არცერთი არ ამოკვეთეს. მესამე, ჯანმრთელი თირკმლის დამატება არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის ელიოტის „ნაღდ“ თირკმლებს. ერთადერთი, ამას ინფექციის შეჭრა შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ეს ნაკლებსავარაუდოა. რაიტის თქმით, ელიოტის დაზიანებული თირკმლები მუშაობენ, ოღონდ ცუდად, ამდენად, ექიმებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მათი ორგანიზმში დატოვება.

ორი-სამი თვის შემდეგ ცნობილი გახდება, შეძლებს თუ არა ელიოტი კალათბურთის თამაშს. ყველაფერი მკურნალობასა და ორგანიზმის მიერ ახალი თირკმლის შეთვისების სისწრაფეზეა დამოკიდებული. ექიმები ვერ აძლევენ შონს კარიერის გაგრძელების ასპროცენტიან გარანტიას და ამბობენ, თუკი მან ითამაშა, უპრეცენდენტო შემთხვევა იქნებაო. ექიმ რაიტის აზრით, შონი საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა და სწორედ ეს გახლავთ მისი კალათბურთში დაბრუნების წინაპირობა. თანაც, არ მინდა ვიყო ის კაცი, რომელიც ელიოტს ეტყვის, კალათბურთის თამაში აღარ შეგიძლიაო — იხუმრა ბოლოს რაიტმა.

„სან ანტონიო სფურზის“ მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა თქვა, რომ იგი და „სფურზის“ წევრები პირველ რიგში ელიოტის ჯანმრთელობაზე ფიქრობენ, შემდეგ კი კალათბურთში დაბრუნებაზე: „მთავარია შონი ჯანმრთელად იყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე. უმისოდ გაგვიჭირდება, მაგრამ მისი კარგად ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია“.

ერთი სიტყვით, შონ ელიოტმა ოპერაცია კარგად გადაიტანა, კარგად გრძნობს თავს ნოელი, შონის ძმა, დონორი და გადამრჩენი. სხვათა შორის, რომ არა ნოელის მიერ მიცემული თირკმელი, შონს მომლოდინეთა სიაში ჩაწერა და რიგში ჩადგომა მოუხდებოდა. რას ნიშნავს სიაში ყოფნა და რიგში ჩადგომა? ამერიკის შეერთებულ შტატებში 62 ათასი ადამიანი ელოდება გადასანერგ ორგანოს. მათგან წელინადში 4 ათასი ისე იღუპება, რომ რიგი არც კი უწევთ...

მიხეიდეთ!

შავი ფიქრები დანიასთან მატჩის წინ: რატომ უნდა მოვიგოთ? განა ეს ვინმეს სჭირდება?

სპორტის სათამაშო სახეობებში საქართველოს ეროვნული ნაკრებებიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის ყველაზე რეალური შანსი რომ ხელბურთელებს აქვთ, მოგეხსენებათ. იქამდე ერთი ნაბიჯილაა, ძნელი გადასადგმელი, მაგრამ არა შეუძლებელი. პლეი ოფში დანიის ნაკრების ორი მატჩის ჯამში ძლევაზეა საუბარი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ქართული ხელბურთი პრობლემების კედელთან

ამ ორრაუნდიან შერკინებამდე ჩვენი ქვეყნის კლუბები ევროტურნირებში ჩაებმებიან. „სტუ-შევარდენი“ კვიპროსულ „სტროვოლოეს“ ხვდება. ნაკრების ბირთვის უკეთ მოსამზადებლად და დანიასთან შეხვედრებისთვის სპორტული ფორმის პიკის მისაღწევად საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი „სტუ-შევარდენი“ შაბათს ეგვიპტეში გაემგზავრა შეკრებაზე. ამ ტურნეს შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ბატონ ჯემალ ბარამიძეს მივმართეთ, რომელიც ნაკრების მეორე მწვრთნელიცაა და „სტუ-შევარდენის“ ვიცე-პრეზიდენტიც.

ჯემალ ბარამიძე: ეგვიპტეში მხოლოდ „სტუ-შევარდენის“ წევრები წავიდნენ, ულეგიონერებოდ, ამიტომაც იქ კლუბის სახელით გამოვალთ. დამატებული მხოლოდ მეკარე ირაკლი კენჭაძეა, რადგან როლანდ ერაძეს საფრანგეთში უნდოდა გადასვლა და ძლიერი მეკარის გარეშე ვრჩებოდით. მართალია, ერაძის ტრანსფერი ჯერჯერობით არ შემდგარა, მაგრამ კენჭაძე მაინც წავიდა შეკრებაზე, რომელიც ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობითა და დახმარებით მოეწყო. თავიდან ამხანაგური მატჩები ეგვიპტის ნაკრებთან და რამდენიმე კლუბთან იყო დაგეგმილი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო გუნდს წასვლა დაუგვიანდა და ახლა რამდენჯერ და ვის ეთამაშებიან, ვერ გეტყვით. ეგვიპტეში „სტუ-შევარდენს“ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე ხელმძღვანელობს. ეს ტურნე დანიასთან მომავალი მატჩებისთვის მზადების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ისევე როგორც კვიპროსელებთან ევროტურნირზე შეხვედრები. რაც შეეხება „სტროვოლოეს“, მის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ვიცით, რომ ისინი რამდენიმე უკრაინელი ლეგიონერით არიან გაძლიერებულნი. ისე, ამ კუნძულზე ხელბურთის დონე საშუალოზე დაბალია, ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ტურნირებს არ გასცდენია. ასე რომ, „სტუ-შევარდენი“ აუცილებლად უნდა გავიდეს მომდევნო ეტაპზე.

შემდეგ ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ბატონი *თამაზ თევზაძე* შემოგვესწრო და საუბარმაც მიმართულება კარდინალურად შეიცვალა. ჩვენი ხელბურთის ხელმძღვანელებმა თავიანთი პრობლემები და გულისტკივილი გაგვანდეს:

თამაზ თევზაძე: როდესაც ნაკრები პლეი ოფში გავიდა, ევროპის ხელბურთის ფედერაციის ჩინოსნებმა მოგვილოცეს და თან დაამატეს, ახლა სულ სხვა დონეზე ხართ და ამას მალე შეიგრძნობთო. ძალიან გაგვიჭირდა. მართლაც სულ სხვა დონეა და ჩვენც შესაბამისად ყველაფერის ორგანიზება გაცილებით უკეთ უნდა შევძლოთ, მაგრამ იმდენი პრობლემა გვაქვს... ძირითადად ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ სხვა სახის პრობლემებიც არსებობს. მაგალითად, დანიელებმა უკვე გვაცნობეს საქართველოში ჩამოსვლის დეტალები და ჩვენც გვთხოვეს, იგივე გავაკეთოთ. თუმცა როგორ გინდა, რაიმე დაწვრილებით გააგებინო, როცა ჩვენ თვითონაც არ ვიცით, როდის და როგორ წავალთ. ამიტომაც მივწერეთ, რომ რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო საბოლოო პასუხს მოგვიანებით გავუგზავნიდით. რა ვქნათ, ფული არ გვაქვს, ჩვენი გასაჭირი კი თითქმის არავის აინტერესებს. სპორტის სასახლეც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ჩვენ მას იჯარის ფულს ვუხდით ხოლმე, მაგრამ სანაცვლოდ მიღებული მომსახურების ღირებულება ძალიან, ძალიან დაბალია. საქართველო-დანიის მატჩის ტელერეპორტაჟს ერთ-ერთი დანიური ტელეარხი გეგმავს, მაგრამ შეძლებს კი ამას სპორტის სასახლის განათებით? მატჩის შემდეგ პრესკონფერენციის ჩასატარებელი ადგილიც მოსამზადებელია...

ფედერაციამ ფული ბილეთების გაყიდვით, ტელეარხებისგან და სპონსორებით უნდა იშოვოს. ნაკრების თამაშებზე ოფიციალურად გაყიდული ბილეთების რაოდენობაზე ოთხჯერ-ხუთჯერ მეტი მაყურებელია ხოლმე... ჩვენს ტელეარხებსაც უჭირთ ფულის გადახდა მატჩების ტრანსლაციისთვის. სპონსორებისგანაც მცირე თანხებს ვიღებთ. ერთი სიტყვით, დიდ გასაჭირში ვართ. იმედია, მომავალში მაინც გამოსწორდება საქმე.

ჯემალ ბარამიძე: სპორტის სასახლეში ბევრი რამაა გასაკეთებელი. დავიწყოთ იმით, რომ მოედანი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ხაზებიც კი უსწორმასწოროდაა გავლებული. თამაშის წინ ჩვენ რატომ უნდა გვიხდებოდეს კარების მოტანა და დაყენება? ხანდახან სკამების დადგმაც კი ავიწყდებათ. მაგალითად, შარშან ევროტურნირის ერთ-ერთი მატჩისას შეხვედრის კომისარი მსაჯთა მაგიდასთან ფეხზე იდგა ამის გამო. ნამდვილად უპრეცედენტო შემთხვევაა. გასახდელებიც მოსაწყობია. ლატვიასთან თამაშისას ერთ მათგანში კანალიზაციის მილი იყო გამსკდარი და საშინელ სიბინძურეში ვიყავით. კიდევ კარგი, სტუმრების გასახდელი შედარებით ნორმალურ ვითარებაში იყო. აქამდე ევროპის ხელბურთის ფედერაციას სპორტის სასახლის ავკარგიანობა არ შეუმოწმებია. ახლა კი შეიძლება ეს გააკეთოს და იქ თამაში საერთოდ აგვიკრძალოს. მაშინ რაღა უნდა ვქნათ? ორივე მატჩი სტუმრად ჩავატაროთ? საქართველოში ერთადერთი დარბაზი ხომ არ გვაქვს ბენდერ-ბეიბლ-ბეიბლ ამ ერთადერთს. მაინც მეხეოდ ნორმალურად.

ახლა საქართველოში ფაქტობრივად კვლავ ხელბურთის ბუმია და მას ყოველნაირად სჭირდება სახელმწიფო ხელშეწყობა. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, მაგრამ იქნებ სპორტის დეპარტამენტიც დაგვხმარებოდა. სხვანაირად წარმოუდგენელია სპორტის ამ სახეობის განვითარება. არადა, ჩვენმა რამდენიმეწლიანმა მუშაობამ იმ დონეზე მოგვიყვანა, რომ სავსებით რეალურია, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ, რაც ჩვენში ხელბურთის პოპულარობას ძალიან შეუწყობს ხელს და ახალგაზრდობაც მოვა.

დანიასთან გამარჯვება კი გვინდა და მის მისაღწევად არაფერს დავიშურებთ, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, რატომ უნდა მოვიგოთ? განა ეს ვინმეს სჭირდება? განა ვინმეს გაუხარდება? უბრალო მაყურებელი არ მყავს მხედველობაში. ცოტა მეტი დახმარება და დაფასებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან.

თამაზ თევზაძემ და ჯემალ ბარამიძემ „სარბიელს“ გულისტკივილი გაუმხილეს. ჩემი მხრივ კი ამას დავამატებდი — კარგი იქნება, თუ სპორტის სასახლის დირექცია თავის პერსონალს ხელფასს იმდენად გაუზრდის, რომ მათ საარსებოდ უბილეთო მაყურებლის შეშვება აღარ დასჭირდებათ. თორემ რა გამოდის, ფედერაცია იჩაგრება, სპორტის სასახლის შეკეთებას და საერთაშორისო მოთხოვნების დონემდე მისვლას საშველი არ დაადგა, არადა, იქ მისული ქომაგები ფულს იხდიან... და ერთიც, იმედია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტიც მომავალში გაცილებით ნაყოფიერად ამუშავდება საქართველოში სპორტის განვითარებისთვის, თორემ ხშირად უბრალო მოკვდავთავის გაუგებარია, საერთოდ რა საჭიროა მისი არსებობა? ზედმეტს არავის ვთხოვთ, უბრალოდ, ყველამ კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა და თუ ეს არ შეუძლია, მაშინ...

გაიოზ თალაკვაძე

კაცი თუ მანქანა?



ჟაკ ვილნევს წლეულს ფინიშამდეც ვერ მიუღწევია



დეიმონ ჰილმა უკვე გადაწყვიტა: ეს სეზონი ბოლო იყოს

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ფორმულის 23 პილოტიდან სამოოთხი ნამდვილად გვეგულება ისეთი, ვისაც საკუთარი სამარცხვინო შედეგების გამო თავში ხელების წასაშენად გახდომია საქმე.

წლეულს უნიკალური პირველობაა — ერთდროულად მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი ასპარეზობს: მიკა ჰაკინენი (30 წლის), მიხაელ შუმახერი (30), დეიმონ ჰილი (38) და ჟაკ ვილნევი (28). მათ ოკეანისგაღმური ინდიკარის ორგზის გამარჯვებული ალესანდრო ძანარდიც (33) მივათვალოთ და ვარსკვლავთა სრული კრებულიც გამოგვივა. თავბედს კი შარშანწინდელი ჩემპიონი ვილნევი, მისი წინამორბედი ჰილი და ძანარდი იწყევლიან. რაც შეეხებათ მიკას და შუმის, მათი პრესტიჟ-იმიჯის საქმე სრულ წესრიგშია, რაც ყველას მშვენივრად მოეხსენება.



ალესანდრო ძანარდი შამპანურს მარტო ამერიკაში ეღირსა

რატომ ჩაბარდა ვილნევი?

ყველაზე საწყენი ამ სამეულიდან აშკარად გამორჩეულ ვილნევის ფიასკოა. ფრენკ უილიამსის გუნდში ორი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, რაც ჯერ ვიცე, მერე კი ნაღდი ჩემპიონობით გამოიხატა, შარშანდელმა შედარებითმა ჩავარდნამ კანადელს გასაკვირი გადაწყვეტილება მიაღებინა და დებიუტანტ BAR-ში გადააბარგა.

როგორც წესი, პილოტთა ერთი საჯინიბოდან მეორეში გადასვლის კონტრაქტები აისბერგივითაა, დელიკატური პუნქტების მხოლოდ მცირედი ნაწილია თვალსაჩინო და არც მიზეზი და, მით უფრო, სამიზეზო თანხა ბოლომდე არ ცხადდება ხოლმე. ვერ გეტყვით, 1982 წელს დაღუპული „ფერარის“ პილოტის ჟილ ვილნევის ვაჟი რით მოხიბლა BAR-მა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟაკმა გაურკვევლობაში ბოდიალი ირჩია და უკვე მწარედაც ნანობს.

მართლაც, რა გამოვიდა — ეს დალოცვილი თერთმეტივე რბოლაში გამოვარდა. ერთი კინკილა ქულის მოპოვებას ვინღა ჩივის, ექს-ჩემპიონს ფინიშამდეც ვერ მიუღწევია. განა ისეთ რა ჯაგლაგ ბოლიდში ჩაჯდა, 300 კმ-ის გავლას რომ ვერ ახერხებს. შარშან, მისთვის უარეს სეზონშიც კი ჟაკმა 21 ქულას მოუყარა თავი და მეხუთე ადგილზე გავიდა. წლეულს კი... არაა გამორიცხული, 1995 წლის ინდიკარის ჩემპიონმა მონტე კარლოდან გუდა-ნაბადი აიკრას და კვლავ შმობლიურ, ამერიკულ ფორმულასა და კვებეკს მიაშუროს, თუკი ევროპაში რომელიმე წამყვანი გუნდი არ მიიწვევს.

სანდრო, წადი ამერიკაში!

„უილიამსში“ ვილნევის შემცვლელ ძანარდის რაღა რჯიდა, შტატებში ორი საჩემპიონო სეზონის შემდეგ იქაურობა რომ მიატოვა და კვლავ ფორმულისკენ იბრუნა პირი. მით უფრო, რომ მანამდე უკვე ჰქონდა 25-რბოლიანი მწარე გამოცდილება. სანდრომ არასრულ სამ სეზონში ერთადერთი ქულის მოპოვება, ანუ მეექვსე ადგილზე გასვლა შეძლო.

ოკეანის გაღმა წასვლა კი აშკარად სწორი გადაწყვეტილება გამოდგა — 29 წლის ბოლონიელმა უცებ აუღო ალღო უცხო ხილს, ნაყოფიც შესაშური იგემა და სუპერპილოტის სახელიც დაიგდო. გაუგებარი ისაა, უკან რა მოარბენინებდა. ეტყობა, ამბიციურობის ჭია შეუჯდა და აქაც რაღაც-რაღაცეების დამტკიცება მოიწადინა. არადა, ხომ მშვენივრად იცოდა, რაც ელოდა, მით უფრო, რომ, როგორც გამოცდილი ხალხი ამბობს, ინდიკარი ტექნიკური თვალსაზრისით ფორმულის გუშინდელი დღეაო.

მაგრამ ალესანდრომ მაინც გარისკა და... ახლა გვიანღაა თითზე კბენანი. ვილნევისა არ იყოს, 11 რბოლაში მასაც ერთი ქულაც კი სანატრელი გაუხდა. თუმცა ორჯერ ფინიშამდე მისვლა როგორღაც მოახერხა (მე-8, მე-11). რაკი ყოველ გუნდში ორ-ორი პილოტია, მათი შედეგების შედარება საკმაოდ ობიექტურ სურათს მოგვცემს. ძანარდის თანაგუნდელად მიხაელ შუმახერის ძმა რალფი ჰყავს. ჰოდა, კოლეგაზე 8 წლით უმცროსი ეს გერმანელი გაცილებით ნიჭიერი გამოდგა და 22 ქულით სატურნირო ცხრილში საპატიო VI ადგილი უჭირავს, ამასთან ორჯერ პოდიუმზე დგომის სიტკბოც გამოსცადა. მაშ, აბა, რა მანქანის ბრალია, თუკი ძანარდიმ ჩაყვინთა. ახლა კი იქნებ იმაზეც ნაღვლობს, ნეტავ საერთოდ მიმეტოვებინა მძღოლობა, მთელ დუნიაზე ასეთი სირცხვილი რომ არ მეჭამაო.

თუ მიდიხარ, კარიც გაიჯახუნე!

ჰილი — დღევანდელი ფორმულის უხუცესი პილოტი, თავის უკანასკნელ სეზონს ატარებს. ორნახევარ თვეს, ანუ ხუთ რბოლას ალბათ როგორმე გაძლებს, მერე კი... მერე კი დასვენება და განცხრომა ოთხ შვილთან ერთად ირლანდიურ ვილაში.

ახლა მთავარია, ერთ რბოლაში მაინც „მოიქნიოს კუდი“ და საკადრისად დატოვოს „სამეფო რბოლები“. თორემ მისი სამი წლის წინანდელი ჩემპიონობა დღეს აღარც ახსოვთ, ისე დაჩრდილა ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა. ეს მეტადრე მიმდინარე სეზონზე ითქმის — 11 რბოლაში სულ რაღაც 6 ქულა და მე-9 ადგილი, აბა, რა ჩემპიონის საკადრისია. შესადარებლად, „ჯორდანის“ გუნდში დეიმონის პარტნიორის ჰაინც ჰ არალდ ფრენცენის მიერ ისეთივე ბოლიდით მოპოვებული შედეგების გახსენება კი იქნებ უხერხულიც იყოს — 1 მოგება, კიდევ სამი პოდიუმი, ჯამში 36 ქულა და მესამე ადგილი. მოდი, ამის მერე ამტკიცე, ფორმულაში პილოტი კი არა, მანქანაა მთავარიო.

თავი და თავი კი ალბათ ისაა, რომ ორგზის ჩემპიონი მამის გრეჰემ ჰილის ვაჟს ასაკი შეეპარა და რბოლის ჟინი გაუნელა. ამიტომ, რაკი წასვლა გადაწყვიტა, ჯობს, ხელი არ შეუშალონ.

ირაკლი ნიკოლაძე

არ მოგვცემთ? არ ვითამაშებთ!

დიეგო დომინგესი

ასეთი რამ განუცხადა იტალიის ნაკრების რვა მობურთალმა რაგბის კავშირის პრეზიდენტ ჯანკარლო დონდის. ქვეყნის პირველი გუნდის რვა მორაგბე, რომელთა შორის ვეტერანები — დიეგო დომინგესი და პაოლო კავარი არიან, ხელფასის გაზრდას მოითხოვენ და იმუქრებიან, თუ ჯამაგირს არ მოგვიმატებთ მსოფლიოს თასზე არ ვითამაშებთო.

„გაოცებული ვარ. ასეთი რამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. ნუთუ ახლა, როცა იტალიამ ევროპის სარაგბო ელიტაში დაიდო ბინა, ნაკრებში თამაშზე უარის თქმა შეიძლება?! ჩვენ სხვა გზა არ გვრჩება გარდა იმისა, რომ ეს მორაგბეები შინისკენ გავისტუმროთ და სასწრაფოდ ახალი გუნდის ჩამოყალიბებას შევუდგეთ. მართალია, ეს ძნელი გასაკეთებელი იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, მაშოლეტი (ნაკრების მწვრთნელი) ამას თავს გაართმევს“ — ასეთი გახლდათ ჯანკარლო დონდის პასუხი მოთამაშეთა განცხადებაზე.

ნაკრების მოთამაშის საშუალო ხელფასი წლიურად 30 მილიონ ლირას შეადგენს, ამას ემატება 5 მლნ ლირა თითოეულ ტესტ-მატჩზე და კიდევ 5 მილიონი თითოეული შეხვედრის მოგებისთვის. ცნობილი სპორტული კომპანიები თავიანთი პროდუქციის რეკლამირებისათვისაც დიდ ფულს უხდიან მორაგბეებს.

დიეგო დომინგესმა და პაოლო კავარიმ ადრეც მოითხოვეს ხელფასის მომატება, მაგრამ მაშინ საწადელს ვერ მიაღწიეს. ახლა, როგორც ჩანს, საქმე გაცილებით სერიოზულადაა. მხარეები არ აპირებენ დათმობას, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა მთელი იტალიური რაგბი აზარალოს.

არგენტინა უყოჩოდ დარჩა

ესეც ასე, არგენტინელთა კაპიტან პედრო სპორლედერს და ჰუკერ მარიო ლედესმას ქვეყნის რაგბის კავშირმა მსოფლიოს თასზე თამაში აუკრძალა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ არგენტინის ნაკრების ზემოთხსენებული მორაგბეები მეორე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბთან სათამაშოდ არ გამოცხადდნენ, რამაც გუნდის ახალი მწვრთნელი ექტორ მენდესი და არგენტინული რაგბის მამები ძალიან აღაშფოთა. ეს შეხვედრა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელი ეტაპისა იყო.

ურჩი მორაგბეების საქციელის განსახილველად ორი დღის წინ შეიკრიბნენ არგენტინის რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის წევრები და განაჩენიც გამოიტანეს — სპორლედერს 16 კვირით აეკრძალა ბურთაობა, ლედესმას — 24 კვირით, რადგან მან ნაკრების თამაშის გაცდენა არ იკმარა და წინა კვირას, ერთ-ერთი საკლუბო მატჩისას, მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო მოედანზე შეუვარდა არბიტრს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

კაპიტნის დაკარგვა გუნდისთვის თავისთავად დიდი დანაკლისია, მაგრამ მწვრთნელი ლედესმას გამოკლებას უფრო ნაღვლობს. საქმე ისაა, რომ ერთი თვის წინ ნაკრების ძირითადმა ჰუკერმა ფედერიკო მენდესმა მყესი დაიზიანა და მისი მსოფლიოს თასზე თამაში გამორიცხა, ახლა კი მის შემცვლელსაც აუკრძალეს თამაში. ერთი სიტყვით, მწვრთნელს საფიქრალი მოსძალება. ახლა ერთადერთი იმედი ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტია. მობურთალები სწორედ მისგან ელიან შეწყალებას და მსოფლიოს თასზე თამაშის უფლების მიღებას. პრეზიდენტს ნაკრების მწვრთნელმა მიმართა და დისკვალიფიკაციის მსოფლიოს თასის შემდეგ გადატანა სთხოვა. ამ ორი მობურთალის გამოკლებით არგენტინელთა შერკინება მართლაც მნიშვნელოვნად დასუსტდება. მწვრთნელის აზრით, მთავარი მსოფლიოს თასზე ნაკრების წარმატებით გამოსვლაა, სპორლედერის და ლედესმას გარეშე კი ამის მიღწევა ერთიორად გაძნელდება.

პედრო სპორლედერი

ლოურენს დალალიო განაჩენს ელის



ლოურენს დალალიო

კიდევ ერთი კაპიტნის, ინგლისელი ლოურენს დალალიოს ამბავი ჯერაც გაურკვეველია. მისი საქმის განხილვა ორჯერ გადაიდო, თუმცა გუშინ დადგინდა თარიღი, როცა ბოლოს და ბოლოს გვეცოდინება, ითამაშებს თუ არა დალალიო მსოფლიოს თასზე.

26 წლის დალალიოს ნარკოტიკების ხმარებაში სდებენ ბრალს. რაგბის კავშირი ცხრა კვირის მანძილზე აწარმოებდა გამოძიებას, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა გამოძიების დასრულებამდე მობურთალს მაინც აეკრძალა თამაში.

იმის იმედით, რომ მორაგბეს გაამართლებენ და მსოფლიოს თასზე თამაშის ნებას დართავენ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა იგი იმ მოთამაშეთა სიაში შეიყვანა, რომლებიც მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან. მწვრთნელის თქმით, დალალიო მშვენიერ ფორმაშია და პლანეტის ამ უდიდეს სარაგბო ტურნირზე გუნდს უთუოდ წაადგება. ოღონდ მიეცემა თუ არა დალალიოს ამის შესაძლებლობა, 26 აგვისტოს გაირკვევა.

კაატა თოთაძე

მაგნუს ნორმანი

სულ ემა ხარ, ბორან?!

ინდიანაპოლისი. აშშ
RCA CHAMPIONSHIPS
საპრიზო 870 000 $

ბორან ივანიშევიჩს ხორვატები ბევრჯერ გაუხარებია. მის გამარჯვებებს მთელი ხორვატია ზეიმობდა. ბორანი ხომ ერთხანს თვით პიტ სამპრასს არ უდებდა ტოლს, ათეულის წევრი იყო წლების განმავლობაში. ახლა კი იგი ნებისმიერი ტურნირის პირველივე წრეში მარცხდება, ნებისმიერი მეტოქეც მასზე გამარჯვებას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს. ივანიშევიჩს ვეღარაფერი შველის. ათეულს კი არა, ოცეულს ვეღარ გაკარებია ახლოს. ინდიანაპოლისში პირველ წრეში იგი ამერიკელ ჯარედ პალმერს ხვდებოდა. ვინმეს რაიმეს ეუბნება ეს სახელი? პალმერი პირველ წრეში საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევის შემდეგ მოხვდა. იგი 242-ეა კლასიფიკაციაში და ამ კაცმა პირველი წრიდანვე გაადო ხორვატი, ვისაც თავისმა ერთ დროს მრისხანე იარაღმა — უძლიერესმა მოწოდებებმა მხოლოდ პირველ სეტში უშველა. მერე კი... ივანიშევიჩმა უკვე ზედიზედ მეოთხედ წააგო, ანუ ზედიზედ მეოთხედ გამოვარდა ტურნირის პირველივე წრიდან. ასე რომ, იგი ბედით და პირველ რიგში საკუთარი თავით კმაყოფილი ვერ იქნება. არადა, ივანიშევიჩი შარშან თვით უიმბლდონის ფინალში გავიდა.

16 აგვისტოს, ორშაბათს, აშშ-ის ინდიანას შტატის უდიდეს ქალაქ ინდიანაპოლისში საკმაოდ მძლავრი ტურნირი დაიწყო. ჩათვლეთ, რომ ეს პირველობა წლეულს დარჩენილი ბოლო დიდი სლემის ტურნირის — ამერიკის ღია პირველობის გენერალური რეპეტიციაა. პირველი დღის მატჩებიდან ყველაზე დიდი ინტერესი სწორედ ზემოთნახსენებმა ივანიშევიჩ-პალმერის შეხვედრამ გამოიწვია.

ცუდად დაიწყეს განთესილებმაც. მეცხრე ნომერმა, ფელიქს მანტიამ, მეორე სეტში ვინს სპადეას ანგარიში გაუთანაბრა, მაგრამ მესამეში ამერიკელს ვერაფერი დააკლო. ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებმა, არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ და ბრაზილიელმა ფერნანდო მელეგინიმ ერთი სეტიც ვერ დასტყუეს განუთესავ მეტოქეებს, მიუხედავად იმისა, რომ ტაი-ბრეიკში ორივეს ჰქონდა ამის საშუალება.

მაშინ, როცა განთესილთაგან სუსტები მეორე წრეში გასასვლელად ოფლს ღვრიან, ძლიერები მეორე წრიდან ჩაერთვებიან ბრძოლაში. მათ შორისაა სამპრასი, რაფტერი, კუერტენი, მოია, ფილიპუსისი და სხვები. განსაკუთრებით ფილიპუსისის გამოჩენას ელიან დიდი ინტერესით, რადგან ამ ავსტრალიელ ყმაწვილს უიმბლდონის მეოთხედფინალში მიღებული მუხლის ტრავმის შემდეგ დღემდე არ უთამაშია.

პირველი წრე: ვინს სპადეა (აშშ) — ფელიქს მანტია (9, ესპანეთი) 6:3, 6:7, 6:2; ტომას ენკვისტი (10, შვეცია) — მოზე ნავარა (იტალია) 7:5, 6:0; ნიკოლას ლაპენტი (11, ეკვადორი) — გრანტ სტეფორდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:5; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ლინდერ პეისი (ინდოეთი) 7:6, 6:4; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 7:6, 6:3; მაქს მირნი (ბელარუსი) — ფერნანდო მელეგინი (16, ბრაზილია) 7:6, 6:3; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — მარიანო ზაბალეტა (13, არგენტინა) 7:6, 6:3; ჯარედ პალმერი (აშშ) — ბორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:7, 6:4, 6:3; დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 3:6, 6:2, 6:4; არნო დი პასკალი (საფრანგეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:5, 6:1; სებასტიენ გროსჟანი (საფრანგეთი) — რიჩი რენებერგი (აშშ) 7:6, 6:3; არნო კლემენტი (საფრანგეთი) — ბოგდან ულიჰახი (ჩეხეთი) 6:4, 6:4; პაველ ლეგი (ისრაელი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:5, 6:1; სიმონ შალკენი (ჰოლანდია) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:2, 4:6, 6:4; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — ნიკოლს ესკუდე (საფრანგეთი) 6:2, 6:4; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ბობ ბრაიანი (აშშ) 7:6, 6:3

ტორონტო. კანადის ღია
[illegible]
საპრიზო [illegible]

ამ ორი თვის წინ უიმბლდონის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ამ დიდი ტურნირის ნახევარფინალს მიღწეული 18 წლის ალექსანდრა სტივენსონი უპირველესი სენსაციის ავტორი რომ შეიქნა, გეხსომებათ. 18 წლის ამერიკელი ჩოგბურთის ქომაგთა ყურადღების ცენტრში მოექცა და ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი ჯულიუს ირვინგის უკანონო შვილი აღმოჩნდა. ჯულიუს ირვინგი კი, მოგეხსენებათ, თავის დროზე მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგას — ნბა-ს აზანზარებდა. უიმბლდონის შემდეგ სტივენსონის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებენ, თუმცა გოგონას უჭირს თავის კვლავ გამოჩენა. აი, ახლაც ტორონტოში მიმდინარე კანადის ღია პირველობის პირველივე წრიდან გავარდა — მეცხრე ნომრად განთესილ ავსტრიელ ბარბარა შეტთან წააგო.

პირველი წრე: ბარბარა შეტი (9, ავსტრია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:2, 7:5; სანდრინ ტესტიუ (10, საფრანგეთი) — მარიან დე სვარდტი (სამხრეთ აფრიკა) 4:6 ტრავმა; ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 3:6, 6:2, 6:1; ჩანდა რუბინი (16, აშშ) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ჟორინა მორარიუ (აშშ) — სილვია ფარინა (იტალია) 7:5, 6:4; ნატალი დეში (საფრანგეთი) — მარტინა ნეიედლი (კანადა) 1:6, 6:1, 6:0; რუძსანა დრაგომირი (რუმინეთი) — მაგდალენა გრეიბოვსკა (პოლონეთი) 6:1, 7:5; სილვია პლიშკე (ავსტრია) — კარინა ჰასბუდოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:1; მაგუი სერნა (ესპანეთი) — ემილი ლოიტი (საფრანგეთი) 6:3, 6:0; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 7:6, 2:6, 7:6

ვაშინგტონი. **LEGAL MASON TENNIS CLASSIC**
საპრიზო 600 000 $

მიუხედავად საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდისა, ვაშინგტონის კაცთა ტურნირს გაცილებით სუსტი შემადგენლობა ესტუმრა, ვიდრე ინდიანაპოლისს. ჩვენთვის კი ვაშინგტონში მიმდინარე პირველობა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იქ ჩვენებური ირაკლი ლაბაძე თამაშობს, უფრო ზუსტად, ითამაშა, რადგან პირველივე ეტაპიდან დაემშვიდობა ტურნირს. ირაკლის ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, მეტოქეს, ურუგვაელ რამონ დელგადოს, რომელიც მასზე გაცილებით გამოცდილია, კარგადაც ებრძოლა, ის კი არა, პირველი სეტი იოლადაც მოუგო, მეორე ხელი ტაი-ბრეიკში გადაიყვანა, მაგრამ როცა ყველაფერს რამდენიმე ქულა წყვეტდა, ბედმა უმუხთლა და ვერც მესამე სეტში გამოასწორა საქმე. ასე რომ, ლაბაძე ტურნირს გამოეთიშა.

ივანე ქობიაშვილი

მთებში რაღას იზამ, აბრაამ?

პარასკევს ესპანეთში „გალიციის ტური“ დამთავრდა, ორშაბათს კი ველოსიპედისტები პირენეის ნახევარკუნძულზე ახალ ტურნირში ჩაებნენ. „ბურგოსის ტური“ ხუთეტაპიანია და „ვუელტას“ დაწყებამდე ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრებაა. ამიტომ მასში ბევრი ძლიერი სპორტსმენი მონაწილეობს, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულები ესპანელები აბრაამ ოლანო, ანხელ კასერო და ფერნანდო ესკარტინი არიან.

პირველი ეტაპი მილაგროსსა და არანდა დე დუეროს შორის გაიმართა. 9,8-კილომეტრიან გზაზე მრბოლები ერთმანეთს ინდივიდუალურად გაეჯიბრნენ. საუკეთესო დრო „ონსეს“ წევრმა აბრაამ ოლანომ აჩვენა. შარშანდელი „ბურგოსის ტურის“ გამარჯვებული და ინდივიდუალურ რბოლების სპეციალისტი ოლანო ეტაპის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა და მანაც პროგნოზები გაამართლა. თვისტომ კასეროს მან 17 წამით აჯობა, რაც ასე მოკლე დისტანციაზე საკმაოდ კარგი შედეგია.

ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსამდე იყო, ამან კი ბევრ სპორტსმენს დიდი პრობლემები შეუქმნა. თავიდან ყველაზე უკეთ ბელგიელი რიკ ვერბრიუგენი მიჰქროდა გახურებულ ასფალტზე, მაგრამ გზის ბოლო მონაკვეთზე მას ტემპის შესანარჩუნებლად ძალა აღარ ეყო, სიჩქარე დაადგა და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

ოლანომ კი მოიგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორია. მასსა და მდევრებს შორის სხვაობა იმდენად დიდი არაა, რომ ონსელმა დანარჩენი ეტაპები გულარხეინად განვლოს. მით უმეტეს, რომ მესამე და მეოთხე ეტაპებისას მრბოლებს საკმაოდ ბევრი აღმართის დაძლევა მოუწევთ, რადგან „ბურგოსის ტურის“ პელოტონი მთებს მიადგება.

გაგი გურული

ვლადიმერ აკოფიანი

კასპაროვმა სომხებს უკბინა

ტურისტი თვითონ კასპაროვია, ჩვენ კი მოჭადრაკე ერი ვართ — ვალში არ დარჩა აკოფიანი

ლევონ-დიტერ ნისიპეანუ

კირსან ილუმჟინოვი, ვისაც „სარბიელის“ მკითხველებთან წარდგენა არ სჭირდება, თავის ინტერვიუებში ხშირად და სიამოვნებითაც იყენებს ტერმინს „დემოკრატიული ჭადრაკი“ და აცხადებს, რომ მის მიერ დამკვიდრებული „ნოკაუტ-სისტემა“, რომლითაც მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება, სწორედ ამგვარი ჭადრაკის დამკვიდრებას უწყობს ხელს. შორს უნდა ვიყოთ იმ აზრისგან, რომ კასპაროვისეული „მონოპოლიური ჭადრაკია“ სამართლიანი, მაგრამ ალბათ არც ფიდესეული ვარიანტის მთლიანად გაზიარება შეიძლება, „ნოკაუტ-სისტემის“ უარყოფითი მხარეები ლას ვეგასის მსოფლიოს ჩემპიონატმაც გამოაჩინა: ნახევარფინალში გასული ოთხი მოჭადრაკიდან ჩემპიონატის სტარტზე ერთადერთი აღიქმებოდა ფავორიტად და ისიც განთესილებში არცთუ პირველი იყო. ჭეშმარიტმა საჭადრაკო იდეებმა გვარიანად უკან დაიხია, სამაგიეროდ, მეტად მოხშირდა სიტყვები „ფსიქოლოგიური მომზადება“, „ნერვული სისტემა“ და, სხვათა შორის, „იღბალიც“. აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ რუმინელი ნისიპეანუსგან მეოთხედფინალში ივანჩუკის ძლევა, როცა გადამწყვეტ პარტიაში უკრაინელის შეცდომას მიმომხილველებმა ორი კი არა, ბარე ხუთი კითხვის ნიშანი დაუსვეს (სვლის ბოლოს დასმული ორი კითხვის ნიშანი უკვე უხეშ შეცდომას ნიშნავს). თავისთავად აკოფიანისა და ნისიპეანუს წარმატებათა საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ალბათ არც ის შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი ისე დახურდავდეს, რომ იგი რეიტინგ-ლისტის ასეულში ვერმოხვედრილმა მოჭადრაკემ დიდგას თავზე. ამ დროს კი კრამნიკი და მსგავსნი მისნი ერთი პარტიის წაგებისთვის ბრძოლას გამოეთიშონ. ალბათ, სწორედ აკოფიანის, მოესესიანისა და ნისიპეანუს დაბალი კვალიფიკაცია ჰქონდა მხედველობაში კასპაროვსაც, როცა ჩემპიონატის ერთ ამასწინდელ მიმოხილვაში მათ არცთუ ტაქტიანად ამერიკაში დისნეილენდის სანახავად ჩასული ტურისტები უწოდა, რასაც დაუყოვნებლივ ნახევრად თანასისხლიერ აკოფიანის რეაქციაც მოჰყვა, ტურისტი მე კი არა, თვითონ კასპაროვია, ორჯერ ვეთამაშე და ორივე პარტია კინაღამ მოვუგე, ძლივს გაექცა დამარცხებასო. „მე ტურისტი არა ვარ“ — განუცხადა აკოფიანმა ჟურნალისტებს — „მე სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი ვარ 16, 18 და 20 წლამდე მოჭადრაკეთა შორის, ასე რომ, კასპაროვს მისამართი შეეშალა“. შემდეგ აკოფიანმა მეოთხედფინალში თავისი და ჩეხეთს წასული მოვსესიანის სომხური დერბი გაიხსენა და სიამოვნებით აღნიშნა, ამ ამბის საყურებლად ლოს ანჯელესიდან ლას ვეგასში ფრიადი სომხობა ჩამოვიდაო. სომეხთა მოჭადრაკე ერად გამოცხადება გახლდათ ბოლო აკორდი აკოფიანის მიერ ლას ვეგასში თავისი ქვეყნის წარმოჩენისა. ინტერვიუს შემდეგ აკოფიანმა ადამსთან შავებით პირველი ნახევარფინალური პარტია ითამაშა და მოიგო, თუმცა აქ ალბათ ისიც უნდა ვთქვათ, რომ გამარჯვება წესით ბრიტანელს უნდა რგებოდა. პარტიის შედეგი მკითხველმა უკვე გუშინ შეიტყო, თუმცა თვითონ შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა და მასზე უფრო დაწვრილებით გიამბობთ. აკოფიანმა დღეისთვის საკმაოდ იშვიათი დებიუტი, პირცი-უფიმცევის დაცვა გაითამაშა და წარუმატებლადაც. თეთრებმა უკეთ განალაგეს ფიგურები და ტერიტორიული უპირატესობაც მიიღეს. მე-14 სვლამდე ბრძოლა უმსხვერპლოდ მიმდინარეობდა, მერე კი ადამსმა დაიწყო... თქვენ უკვე იცით, რომ მან წააგო პარტია, მაგრამ ინგლისელი ჟინიანი და ლამაზი თამაშისთვის მაინც უდავო აპლოდისმენტებს იმსახურებს. მან ორ ჰაიკში მხედარი შესწირა და მძლავრი შეტევა დაიწყო; შედეგად შავების მეფის ფრთა თითქმის მთლიანად თეთრმა ფიგურებმა დაიპყრეს, ხოლო აკოფიანის მეფე ხიფათს ლაზიერის ფრთაზე განერიდა. ადამსის გამსვლელი პაიკი მე-6 ჰორიზონტალზე გავიდა და ორიოდე ნაბიჯი უკლდა იმ ზღვრამდე, რომლის გადალახვისთანავე აკოფიანს იქნებ სულაც ფარ-ხმალი დაეყარა.

პაიკის ირგვლის ორივე მხრიდან დიდი ძალები შეეჯგუფდნენ და საშინელი სისხლისღვრაც ატყდა. ადამსისა მეტი დაიხოცა, სამაგიეროდ, მისმა პაიკმა უწია სასურველ მიჯნას და თუმც იქვე დაეცა, შავი ეტლიც თან გაიყოლა. ამ წარმატებამ ბრიტანელს ერთპაიკიანი მატერიალური უპირატესობა არგუნა და თითქოს დამშვიდებისა და ტექნიკური თამაშის დროც დაუდგაო, მაგრამ ვინ თქვა, ინგლისელები ცივი და ჭკუადამჯდარი ხალხიაო? ადამსმა ახლა კუ შესწირა მეტოქეს და ძალიანაც მიჰქარა, რადგან მეტად არახელსაყრელი ენდშპილი მიიღო: ორი ეტლი და ორი პაიკი ლაზიერისა და კუს წინააღმდეგ. აკოფიანის მოგება მაინც სათუო ჩანდა, მაგრამ აქ სომეხმა ბრწყინვალე ტექნიკური თამაში უჩვენა; მისი ლაზიერის მანევრებმა თეთრებს ნერვები დააწყვიტა და ადამსიც ბოლ-ბოლო გატყდა, დაკარგა პაიკი, მერე მეორეც და 86-ე სვლაზე დანებდა კიდეც. მეორე პარტიაში თავიდანვე ყაიმის სურნელი ტრიალებდა და იგი მე-16 სვლაზე ასეც დამთავრდა. ხალიფმან — ნისიპეანუს წყვილს რაც შეეხება, აქ ორჯერვე ყაიმი დაფიქსირდა.

ნახევარფინალისტებმა კლასიკური ჭადრაკის წესებით სულ ოთხი პარტია უნდა ითამაშონ.

დავით გულუა

ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი

ილუმჟინოვი ვაჟა ზაზაევიჩია?

დაახლოებით 10 აგვისტოს ყაზანის აეროპორტიდან ავიალაინერი აფრინდა, ათასობით კილომეტრი იფრინა, ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი ხელმარჯვნივ მოიტოვა და ჩრდილოეთ ჩინეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს, შენიანს უწია. თვითმფრინავში იყვნენ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები, რუსი ალისა გალიამოვა და ჩინელი სიუ ჟუნი თავ-თავიანთი ტაძრეულობით. ისინი ჩინეთს მატჩის მეორე ნახევრის სათამაშოდ ჩავიდნენ. შენიანში უკვე სამი პარტია შედგა, მაგრამ ვიდრე მათზე გიამბობდეთ, ერთი საინტერესო ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ: ფიდესგან გარიყული ჟუჟა პოლგარის განცხადებით, მან ჭადრაკის მამებთან მიაღწია შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ სიუ ჟუნ — გალიამოვას მატჩში გამარჯვებულს ფინალურ მატჩში შეხვდეს. როგორც პოლგარმა თქვა, ეს საკითხი დღის წესრიგში ფიდეს ლას ვეგასის ასამბლეაზე 29 აგვისტოს დადგება.

ახლა წერილის სათაური განვმარტოთ: როცა სიუ ჟუნმა ჩვენს მაია ჩიბურდანიძეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული წაჰგვარა, მათ მატჩში თავიდან მაია დომინირებდა, შემდეგ ჩინელი საგანგებოდ მოემზადა ფსიქოლოგიურად და მოიგო კიდეც. სიტუაცია ანალოგიური ჩანს მიმდინარე მატჩშიც. ფრედ დასრულებული ყაზანური ნახევრის მერე სამშობლოში სიუ ჟუნის უპირატესობა ჯერჯერობით სრულიად აშკარაა. მან ნათამაშევი სამიდან ორი პარტია მოიგო და ორივე შავებით. მე-10 პარტიაში ომი დაფის მთელ ფრონტზე გაიშალა, თუმცა 44-ე სვლაზე იგი მშვიდობიანად დასრულდა. მე-11 პარტია კი სიუ ჟუნისა იყო, რომელმაც პაიკის მოქნილი შეწირვით დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო. ჩინელის პაიკთა ფალანგამ E და F ვერტიკალებიდან მწყობრად შეუტია თეთრ მეფეს და ერთი კი დაეცა, სამაგიეროდ, მეორემ ბოლოსწინა ჰორიზონტალს უწია და თეთრების გვირგვინოსანს ცივი მჭდივით დაადგა ყელზე. მერე კიდევ მეზობელი ვერტიკალიდან თეთრების მოღიავებული პოზიციისკენ ორი აწყვეტილი შავი ეტლიც გამოქანდა და... 46-ე სვლაზე გალიამოვა დანებდა. სიუ ჟუნი მატჩში უკვე სოლიდურად დაწინაურდა — 6,5-4,5.

დავით გულუა

ჯ. მძლეოსნობა ჯ

ბენ ჯონსონი ისტორიას ვერ გაექცა

ბენ ჯონსონის სამძლეოსნო რეაბილიტაციის იდეას ჯვარი დაესვა. სევილიაში შემდგარმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა მას ერთსულოვანი უარი სტკიცა, ასე რომ, კანადელი სპრინტერი უკვე საბოლოოდ გახდა ისტორიის კუთვნილება. სევილიაში კი ამით არ შემოფარგლულან: მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთეს სპრინტერი დაგ უოლკერი და სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორი, რის შემდეგაც კონგრესმენები უფრო სასიამოვნო საქმეებზე გადავიდნენ. მათ რატიფიცირება გაუკეთეს სამ მსოფლიოს რეკორდს: ჩეხ ათჰიდელ ტომას დვორჟაკისას, მაროკელ ჰიშამ ელ-გურუჯისას, რომელმაც 1 მილზე სირბილში ისახელა თავი და ბოლოს, ამერიკელ მორის გრინისას, 100 მეტრზე სპრინტში რომ დაამყარა.

დავით გულუა

აი, მიგნება: ხუთი რგოლი ფეხბორკილად

ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით დასავლეთი სიკვდილის საუფლოდ ითვლებოდა. ამიტომაც პირამიდებს ყოველთვის დასავლეთით აგებდნენ. საბჭოეთის იდეოლოგები კი ჩაგვჩიჩინებდნენ, დასავლეთში ძია სემის სახით ბოროტებაა. იქ დამპალი კაპიტალიზმია გამეფებული და სისაძაგლეაო.

მაგრამ საბჭოელ მოქალაქეებსა და სოციალისტური ქვეყნების ბევრ ბინადარს თვალი მაინც იქით ეჭირა და ზოგს ფეხიც გაურბოდა.

ახლაც ასეა კუბაში, სადაც ფიდელს ხალხი გაურბის.

ამერიკის კონტინენტზე საბჭოეთის ბურჯს ხალხი ახლაც გაექცა — კანადის ქალაქ ვინიპეგში გამართულ XIII პან-ამერიკულ თამაშებზე კუბელები 840-კაციანი დელეგაციით, მათ შორის 500 სპორტსმენით ჩავიდნენ, შინ დაბრუნებულებმა კი ცამეტი კაცი მოისაკლისეს.

„პატრიოტებს ვაშა და დიდება გამარჯვებისთვის, მოღალატეები — საბაგვეზე!“ — სახელმწიფო ტელევიზისთვის მიცემულ ინტერვიუში ზიზღნარევი ტონით განაცხადა თანამემამულეთა დეზერტირობაზე კუბის დელეგაციის ხელმძღვანელმა უმბერტო როდრიგესმა.

აღმოჩნდა, რომ ფიდელ კასტროს გალიისთვის თერთმეტ სპორტსმენს და თითო მწვრთნელსა და რეპორტიორს დაუწყვია თავი.

როდრიგესს, რომელიც კუბის სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტსაც ხელმძღვანელობს, არ დაუსახელებია „მტრის ბანაკში გაქცეულთა“ ვინაობა.

თუმცა, ჰავანაში არაოფიციალური სპრტული წყაროები ასახელებენ ცამეტიდან ექვსს, რომლებმაც შეჯიბრებისას კუბელთა ბანაკი მიატოვეს. ესენი არიან ტყვიის მსროლელი აბელ ჯუნკოსა, ტანმოვარჯიშე იოანდრი დიასი, ბეისბოლისტი პიჩერი დენის ბაესი, კალათბურთელი ხუან ვასკუესი, ჟურნალისტი ლისეტე ჩეპერო და სოფტბოლელთა მწვრთნელი ხოსე მენდესი.

სხვათა შორის, დიასი ერთადერთი სპორტსმენია იმ ეგრეთ წოდებულ დეზერტირთა შორის, რომელმაც პან-ამერიკულ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა, ბეისბოლისტმა დენის ბაესმა კი ვერ მოითმინა და მანამ მიატოვა გუნდი, სანამ კუბელები აშშ-ს ნაკრებს დაამარცხებდნენ და ოქროს მედლებს მოიპოვებდნენ.

კუბელები რომ თავიანთ კუნძულზე სრული შემადგენლობით აღარ დაბრუნდებოდნენ, ამას ბევრი წინასწარმეტყველებდა. მაგალითად, ვინიპეგის ერთ-ერთმა გაზეთმა ხუმრობით პრიზიც დაწესა, რომელიც კუნძულელ სპორტსმენთაგან დეზერტირთა რაოდენობის გამომცნობს გადაეცემოდა. პრიზი კი კუბაში უფასოდ არდადეგების გატარება იყო.

როდრიგესმა ქების სიტყვები უძღვნა იმ „ღირსეულებს“, რომლებმაც კანადაში სკაუტების შემოტევას გაუძლეს. როდრიგესმა თურმე ბეისბოლისტთა ვარსკვლავ გერმან მესას ხელიდან წაგლიჯა სკაუტების მიერ შეჩეჩრებული მოწოდება კუბის მიტოვების თაობაზე, ხოლო ძიუდოისტ დრიულის გონსალესმა უარი თქვა შემოთავაზებულ 3000 დოლარზე ნაცვლად იმისა, რომ ოქროს მედლისთვის ბრძოლა დაეთმო. ამავე დროს მან აღნიშნა, ერთადერთი, რაც გვსიამოვნებდა, ვინიპეგის მოსახლეობის მხურვალე მხარდაჭერა იყო კუბელებისადმი.

იმავე სატელევიზიო პროგრამაში კუბის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხოსე რამონ ფერნანდესმა განაცხადა, რომ კარიბის კუნძულები გეგმავენ უმასპინძლონ 2008 წლის ან შემდგომ ოლიმპიურ თამაშებს.

— ვფიქრობ, ეს დაკმაყოფილებს არა მხოლოდ სპორტის გულშემატკივართ, არამედ მთლიანად კუბელ ხალხს — ამბობს ფერნანდესი, რომელიც კუბელთა ბელადის ერთ-ერთი მოადგილეცაა.

ეტყობა, ფიდელ კასტროს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობით სურს თავისი სპორტსმენების შინ დატოვება, რადგან ლამის ყოველ უცხოეთში გასვლაზე მას ათლეტები აკლდება.

ვინ იცის, მიეცემა თუ არა კუბის რომელიმე ქალაქს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი და ამგვარად ხუთი რგოლის მეშვეობით საკუთარ სპორტსმენებზე ფეხბორკილების დადება.

სპეციალური სატელევიზიო პროგრამის მიზანი პან-ამერიკულ თამაშებზე მომხდარი ფაქტის დაგმობა გახლდათ, როგორც ამას ბელადმა ფიდელ კასტრომ კუბელი სპორტსმენების მიმართ „უპრეცედენტო ხრიკები და სიბინძურე“ უწოდა.

კუბელებმა არაერთხელ გამოთქვეს თავიანთი პრეტენზიები იმის გამო, რომ პან-ამერიკულ თამაშებზე წესების მანიპულირებით ცდილობდნენ კარიბელთა ხარჯზე დახმარება აღმოეჩინათ მასპინძლებისათვის და აშშ-ის სპორტსმენთათვის.

შეგახსენებთ, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ შესაბამისად აშშ-ს, კუბისა და კანადის სპორტსმენები.

იმავე სატელევიზიო პროგრამაში, რომელიც ორსაათნახევარს გაგრძელდა, როდრიგესმა განაცხადა, რომ ვინიპეგის პან-ამერიკული თამაშები „თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე ცუდი“ იყო.

კუბელმა სპორტის მამებმა კვლავაც გამოხატეს გაღიზიანება სიმაღლეზე მხტომელ ხავიერ სოტომაიორისთვის (რომელიც ამავე თამაშების ოთხგზის ჩემპიონია) ჩემპიონის ოქროს მედლის ჩამორთმევის გამო, რადგან ტესტირებისას კოკაინზე დადებითი პასუხი მიიღო. „სოტომაიორს ამგვარი ტესტირება ასჯერ მაინც გაუვლია... შარდის შემოწმებისას კი ყოველთვის უარყოფით შედეგს ვღებულობდით“ — ამბობს კუბის მძლეოსანთა ფედერაციის პრეზიდენტი ალბერტო ხუანტორენა, წარსულში თავადაც მძლეოსნობის კაშკაშა ვარსკვლავი.

ვინიპეგში კუბის სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელის დოქტორ როდრიგო ალვარეს კამბრას თქმით, დოპინგის შემთხვევასაც რომ შევეშვათ, რომელმაც შეიძლება ორი წლით მოკვეთოს სპორტსმენი, სოტომაიორს ტრავმა მაინც არ მისცემს სევილიაში მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის საშუალებას.

„ჩვენ არ ვაპირებთ, რომ სევილიაში ასპარეზობის ნება დავრთოთ მას...“ სოტომაიერმა პან-ამერიკულ თამაშებზე ზურგის ტრავმა მიიღო და ამიტომ ოპერაცია ესაჭიროება.

გიგა გურასაშვილი

იტალია

ბერლუსკონის თასი

მილანი 0:1 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (28)

მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ბა, ალბერტინი, გატუზო, ტონეტო (ამბროზინი 63), ლოენარდო (ბირჰოფი 46), შევჩენკო (განცი 78), ვეა (ორლანდინი 63)

იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, ოლისე, ტაკინარდი, კონტე, ბაკინი (ზიდანი 46), ძამბროტა, ინძაგი (რიგონი 88), დელ პიერო (ესნაიდერი 68)

REUTERS ამანიდან

აი, ამან ამანა...

იორდანიის ფეხბურთელთა ნაკრები ყატარისას 3:0-ს რომ მოუგებდა, თან ამანში, ველოდი...

ბან არაბული თამაშები საინტერესოდ რომ ჩაივლიდა, ველოდი...

იორდანიის მეფე აბდულა მაისურაში თუ გამოეწყობოდა და თავისიანებს ასე დაუჭერდა მხარს, ალაჰმა დამლახვროს, ვერასდროს წარმოვიდგენდი.

სევილიური ლაქლაქი

— დონ ბრიმო, ბედნიერი ვარ სევილიაში რომ გხედავთ.

— ააა, ჩემი ხირალდილია, ძვირფასო თილისმა. მაშ, ვიწყებთ 21 აგვისტოს?

— თქვენი პატრონობით დონ... 29-მდე გასტანს.

— ბრავო, ბრავო.

მძლეოსანთა ოჯახის თავმა ბრიმო ნებიოლომ, 1999 წლის მსოფლიოს ჩვემპირნატის თილისმას მხარზე ხელი დაჰკრა და ფეშენებელური სასტუმროს იმ დარბაზისკენ გაემართა სადაც კონსილიერთა დიდ ჯგუფს მოეყარა თავი. დონი ამას კონფერენციას ეძახდა.

ცოტაც და სინდიკატის გრანდიოზული ჩანაფიქრი მეშვიდედ შეძრავს დედამიწას.

REUTERS სევილიიდან

კასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5 2. ♘g1-f3 d7-d6 3. ♗f1-b5+ ♗c8-d7 4. ♗b5:d7+ ♕d8:d7 5. c2-c4 ♘b8-c6 6. ♘b1-c3 ♘g8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. ♘f3-d4 ♗g7 10. ♘d4-e2 ♕d7-e6 11. ♘c3-d5 ♕e6:e4 12. ♘d5-c7+ ♔e8-d7 13. ♘c7:a8 ♕e4:c4 14. ♘a8-b6+ a7:b6 15. ♘b1-c3 ♖h8-a8 16. a2-a4 ♘f6-e4 17. ♘c3:e4 ♕c4:e4 18. ♕d1-b3 f7-f5 19. ♗c1-g5 ♕e4-b4 20. ♕b6-f7 ♗g7-e5 21. h2-h3 ♖a8:a4 22. ♖a1:a4 ♕b4:a4 23. ♕f7:h7 ♗e5:b2 24. ♕h7:g6 ♕a4-e4 25. ♕g6-f7 ♗b2-d4 26. ♕f7-b3 f5-f4 27. ♕b3-f7 ♗d4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5



კოკიოლა პალიოს გმირი

REUTERS სიენიდან

რა უპირატესობა აქვს ცხენს ბრიტანეთის პრემიერ მინისტრთან შედარებით? მას არც არჩევნებზე უნერვიულია და არც მილოშევიჩის რეჟიმთან ომის დროს, ეს ერთი. მეორე, პრემიერ მინისტრი (ამ შემთხვევაში ტონი ბლერი) „პალიო დი სიენაზე" ტაშს უკრავს ცხენს, ის კი დაუნინგ სტრიტზე რომ მიიყვანოთ ბლერის გამო ერთხელ არ შემოკრავს ჩლიქს ჩლიქზე.

მაშ ასე, იტალია, სიენა, ცნობილი დოღი, რომელიც 1224 წელს იღებს სათავეს, რომლის წინაალმდეგ ხშირად ილაშქრებენ ცხოველთა დაცვის აქტივისტები და რომელმაც 1967 წლიდან 40 ფოტორეპორტიორი დაასახიჩრა... წლეულს უოლტერ პუშედუს ცხენი, რომ ვერ გაიმარჯვებდა ამას მარცხენა ფოტოდანაც ხვდებით. გაიმარჯვა ულაყმა სახელად კოკიოლა (მარჯვენა ფოტოზე).

REUTERS სიენიდან



REUTERS სიენიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარტიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli